# 17 მაისი: სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტი აღიკვეთება!

**გუშინ** შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 მაისს დაგეგმილ აქციებთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაავრცელა...

ადამიანის უფლებების დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სამინისტრო იცავს გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის პოლიტიკური და სხვა შეხედულების, სქესის, რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და სხვა ნიშნის მიუხედავად.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2019 წლის 17 მაისს თბილისში სხვადასხვა ადგილზე გაიმართება ღონისძიებები.

პოლიცია უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, ისე თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც არ გასცდება კანონით დასაშვებ ფარგლებს. სამინისტრო მოუწოდებს ღონისძიებების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, დაიცვან კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია იმოქმედებს საკუთარი მანდატის ფარგლებში. სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი დაუყოვნებლივ აღიკვეთება!..


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 17 მაისი. 2019 წ. №97 (8763) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


დღის მთავარი თემა!

# ზვიად გამსახურდიას ბედისწერა და მისი თანამეცხედრის გოდება მაინც შეისმინეთ, ზუგდიდელებო და სრულიად სამეგრელოვ!



## ზუგდიდელებო, გააძევეთ აქედან რულოვსი!

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ძეგლთან მივიდა და მოსახლეობის ნაწილს შეხვდა.**

გამსახურდიას მომხრეებთან ერთად გუშინ დაკავებული გელა კვარაცხელიას დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. მისი მტკიცებით, კვარაცხელია იმის გამო დააკავეს, რომ „მან სანდრა რულოვსს და მის მეუღლეს ზვიად გამსახურდიას ლანძღვა და საქართველოს გაყიდვა არ აპატია“.

**„როგორ, ზვიად გამსახურდია იყო ბანდფორმირებების ხელმძღვანელი?! ...ეს არის ზვიად გამსახურდია? გააძევეთ აქედან რულოვსი და დამთავრდეს ყველაფერი. თქვენ ბევრი შესაძლებლობები გაქვთ მაგრამ პრესას ნუ გამოიყენებთ პირადი ინტერესებისთვის, პრესა გამოიყენეთ საქართველოსთვის“,** — მიმართა მან ჟურნალისტებს სანდრა რულოვსის ავტობიოგრაფიული წიგნის კომენტირებისას.

მისივე თქმით, არსად წავა, სანამ გელა კვარაცხელიას არ გაათავისუფლებენ. მასთან ერთად ზუგდიდის ბულვარში ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები და მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ყოფილი ლიდერი კახა მიქაია იმყოფებოდნენ.

* * *

აქვე გთავაზობთ ქ.-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებას, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია სოციალურ ქსელში სანდრა რულოვსის მისამართით სტატუსს აქვეყნებს:

**„შე ნამუსგარეცხილო ჯაშუშო, შენი და შენი ე.წ. ქმარი როგორ ბედავთ ზვიად გამსახურდიას ხსენებას. მიხედე საქართველოში თქვენს მიერ დატრიალებულ ტრაგედიას, „მოქკავშირიდან“ დღემდე, რომელი ერთი დანაშაული ჩამოგითვალო — პირველი და უმთავრესი — კოდორის გადაცემა რუსეთისთვის, სამაჩაბლოს 114 სოფლის ჩაბარება რუსეთისთვის, საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტების ჩუქება რუსეთისთვის, ტერორისტული აქტების მოწყობა საქართველოს მოსახლეობისათვის, საქართველოს მოსახლეობის დაინვალიდება, ჯანმრთელი მოქალაქეების ორგანოებით ვაჭრობა, ბიზნესის დატერორება და მათი ქონების ხელში ჩაგდება, აჭარის ფაქტობრივი ჩაბარება გიულენისათვის ორმხრივი გარიგების საფუძველზე, საქართველოს ბიუჯეტის ძარცვა, ტუბერკულოზით დაავადებული მოქალაქეების მედიკამენტების გარეშე დატოვება, უდიპლომო ე.წ. ექთნის სტატუსით ჯანმრთელობის სამინისტროს პირად კონტროლზე აყვანა, რომელსაც ჯალათი ქმრის ხელშეწყობით ახორციელებდი საავადმყოფოებზე კონტროლს — ორგანოებით ვაჭრობასა და ასევე უცხოეთიდან შემოტანილი ვაქცინებით ახალშობილების დაინვალიდებას, უცხოეთში შავი ფულის გათეთრებას და ბანკებში განთავსებას, დანარჩენს სასარჩელოსათვის შემოვინახავ — შენ ქმარ-შვილს, დედამთილს, თ.ალასანიას, შენ მშობლებსა და ძმას დამტვრეული ავეჯით მოვაჭრე მაკლერებს ერთად გაგისწორდებით!“**

სიყვარულმა ასაკი არ იცის!

# საყოველთაო ჯვრისწერა გორსა და მთელ საქართველოში



გორის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში საყოველთაო ჯვრისწერა მიმდინარეობს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გუშინ 13 წყვილი იყო რეგისტრირებული. ჯვარს ის წყვილები იწერდნენ, რომლებსაც ჯვარდაუწერელი ოჯახები აქვთ და სურთ, რომ ღვთის წინაშე თავისი ქორწინება დააკანონონ.

საყოველთაო ჯვრისწერის ცერემონიალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს მასშტაბით წელს მესამედ იმართება.

# იმედი ყაზახეთის დედაქალაქიდან




**გვაქვს ჩვენი რეგიონის მრავალპროფილურ ცენტრად ქცევის ამბიცია. ჩვენ უნდა გავხდეთ ბიზნესის კეთების, კაპიტალდაბანდებების, ფინანსებზე წვდომის, ინოვაციების, ტურიზმის, ვაჭრობისა და ლოგისტიკის ცენტრი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში ეკონომიკური ფორუმის გახსნაზე განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ყაზახეთის პირველ პრეზიდენტსა და ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელს ნურსულთან ნაზარბაევს, ყაზახეთისა და საქართველოს ურთიერთობებსა და პარტნიორობაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის, რითაც ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა არა მხოლოდ შენარჩუნდა, არამედ ყოველდღიურად ძლიერდება.

**„ყაზახეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია საქართველოსთვის. ჩვენ დიდი-პოლიტიკური და ხალხთაშორის ურთიერთობები გვაკავშირებს, თუმცა ეკონომიკური მიმართულებით მაინც ვხედავთ ასათვისებელ და შესაბამისად გასაზრდელი თანამშრომლობის დიდ პოტენციალს,** — აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნურსულთანში ხელმოწერილ მნიშვნელოვან შეთანხმებებს გაუსვა ხაზი, მათ შორის საგზაო რუკის შესახებ შეთანხმებას, რაც მომდევნო სამი წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვის გაზრდას ისახავს მიზნად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყურადღება მიაპყრო იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც საქართველოსა და ყაზახეთს აქვს ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროებში, ასევე სხვა მიმართულებებითაც. მამუკა ბახტაძის თქმით, ამ სფეროებში ერთობლივი პარტნიორობის შექმნა კიდევ მრავალი წარმატების საფუძველი გახდება.

**„საქართველოსა და ყაზახეთს დიდი ენერგეტიკული მიზიდულობა აკავშირებს. საქართველო სტრატეგიულად მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, რაც ბუნებრივ ხიდად გვაქცევს ამ ორ კონტინენტს შორის, ხოლო ზღვაზე გასასვლელის არმქონე 8 ქვეყნისთვის — დანარჩენ მსოფლიოსთან ვაჭრობისთვის. საქართველოს შეუძლია, ყაზახეთს შესთავაზოს ეს უპირატესობა, რაც გააძლიერებს ლოგისტიკური მიმართულებით თქვენი პოტენციალის სრულ რეალიზაციას. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, რამდენიმე ძალიან მაღალი პროფილის რეგიონული პროექტი გვაქვს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროებში. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივას შეუერთდა და უძველესი აბრეშუმის გზის აღორძინების იდეის განუყოფელი ნაწილია. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, ვახსენოთ ე.წ. შუაკორიდორის პროექტი, რომელიც შემუშავდა ყაზახეთის, ჩინეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს მიერ. ეს პროექტი დიდ შესაძლებლობებს შექმნის გლობალურ ეკონომიკაშიც“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა....

ბოლოს მამუკა ბახტაძემ თქვა, **„ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, ხანდახან უნდა გავცდეთ პოლიტიკურ დღის წესრიგს და განზრახულზე გაცილებით მეტი გავაკეთოთ, რათა ხანგრძლივი და ეპოქალური გავლენა მოვახდინოთ ჩვენს შვილებსა და მომავალ თაობებზე. სწორედ ამიტომ ვმუშაობთ ასე მუხლჩაუხრელად არსებული გამოწვევების დასაძლევად, უკეთესი ხვალინდელი დღისთვის და, რაც მთავარია, მომავალი თაობებისთვის“.**

ნურსულთანში მიმდინარე „ასტანას ეკონომიკური ფორუმი — 2019“, რომლის მთავარი თემა „შთამაგონებელი ზრდა: ადამიანები, ქალაქები, ეკონომიკებია“, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, გლობალური მოაზროვნეები, ცნობილი ექსპერტები და დარგის გამოკვეთილი ლიდერები მონაწილეობენ. ისინი ორი დღის განმავლობაში გლობალური ეკონომიკის გამოწვევებს, ტენდენციებსა და შესაძლებლობებს განიხილავენ.

# თამარ ჩუგოშვილი: ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებებით ცდილობს საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლას!



„ქართული ოცნების“ საერთაშორისო მდივანმა თამარ ჩუგოშვილმა ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებზე განცხადება გააკეთა და ოპოზიცია დესტრუქციის მცდელობაში დაადანაშაულა: **„საარჩევნო დღის მოახლოებასთან ერთად, ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ქმედებებით უფრო და უფრო მეტად ცდილობს საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლას და მის დისკრედიტაციას“.**

ბოლო დღეების განმავლობაში, საზოგადოებამ ოპონენტების მხრიდან საარჩევნო კომისიასთან აჟიოტაჟი და ზუგდიდის საკრებულოს შენობაში არეულობის მოწყობის მცდელობა იხილა, დღეს კი ნაციონალური მოძრაობის წევრები უკვე ზუგდიდის საოლქო კომისიის შენობაში შეიჭრნენ ძალადობრივად და ცდილობდნენ კომისიის მუშაობის ჩაშლას. ყოვლად მიუღებელია თავდასხმა საარჩევნო კომისიაზე, რომელიც უკვე წლებია, ყველანაირი საერთაშორისო შეფასებით გამართულად და კანონის შესაბამისად მუშაობს. ჩვენი ოპონენტების მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ცენტრალური საარჩევნო კომისიის დისკრედიტაცია და საარჩევნო პროცესის ჩაშლა სწორედ ზუგდიდში, სადაც მათთვის პოზიციების დაკავებას სიმბოლური დატვირთვა აქვს კანდიდატიდან გამომდინარე.

ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც ჩანს, კარგად იცის, რომ ზუგდიდში არჩევნებს პირველივე ტურში აგებს, შესაბამისად, ისინი სტაბილური საარჩევნო პროცესის დაძაბვას და არეულობის ხელოვნურად შექმნას ცდილობენ. ჩვენი ამოცანაა არჩევნების მშვიდ, დემოკრატიულ გარემოში ჩატარება. არცერთი პროვოკაცია, არცერთი ინციდენტი, რომელიც ჩრდილს აყენებს საარჩევნო პროცესს, არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

შესაბამის უწყებებს სამართალდარღვევის ნებისმიერ ფაქტზე უმკაცრესი რეაგირება ექნებათ. თითოეული დამნაშავე, თითოეული პირი, რომელიც ძალადობას და საარჩევნო პროცესის ჩაშლას შეეცდება, აუცილებლად აგებს პასუხს კანონის წინაშე.

# ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს ცესკო დისკრიმინაციად აფასებს

**„დღეს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლები, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, არ აძლევდნენ სხდომის ჩატარების საშუალებას.**

**აღნიშნული დაპირისპირება ფართო საზოგადოებამაც იხილა მედიაში გავრცელებული კადრების საშუალებით, სადაც ნათლად ჩანს კომისიის საქმიანობაში უხეში ჩარევა და კომისიის სხდომის ჩაშლის მცდელობა. ეს ქმედებები წინააღმდეგობაშია საარჩევნო კანონმდებლობასთან, აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და წარმოადგენს დამკვირვებლებისა და წარმომადგენლებისთვის კანონით მინიჭებული უფლებების აშკარა გადაჭარბებას.**

**საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მიუღებელია მასთან ურთიერთობაში ამგვარი ფორმების გამოყენება. ადმინისტრაცია მოქმედებს კანონის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ჩართულ მხარეებს ნებისმიერი საკითხის გადასაჭრელად სრული შესაძლებლობა აქვთ იხელმძღვანელონ სამართლებრივი ფორმებით. საარჩევნო ადმინისტრაცია მიმართავს მიუკერძოებელ დამკვირვებლებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყურადღებით დააკვირდნენ ზუგდიდის ოლქში არჩევნებში ჩართული ზოგიერთი მხარის ქმედებებს, რომელიც ატარებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და მთლიანი საარჩევნო პროცესის დაზიანების ხასიათს,“** — აღნიშნულია განცხადებაში.






# რაიონებში მოსალოდნელია მეორე ტური!..



**კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი არასტაბილური ვითარების განცდას ქმნის და ჯერ არშემდგარ არჩევნებს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რაც ცუდია, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის...**

**დღეს ვახტანგ ძაბირაძე ჩვენი სტუმარია.**

**— ცემა, გინება და ურთიერთ ბრალდება — ეს ქართული არჩევნებისთვის უცხო ნამდვილად არ არის, მით უმეტეს ზუგდიდში. ასეთი მეთოდით არჩევნების წარმათვა რამდენად აზინებს ქვეყნის იმიჯს?**

— ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს, თუ დღეს ხელისუფლება სამართლებრივად არ იმოქმედებს, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად მიდის იმაზე, რომ 19 მაისს დაპირისპირება იყოს არა მარტო ზუგდიდში, არამედ ყველგან. რა თქმა უნდა, უფრო მტკივნეულია ორი რაიონი — ზუგდიდი და მარნეული, ვიდრე დანარჩენი. ამიტომ ხელისუფლებამ სამაგალითოდ, კანონის ფარგლებში უნდა იმოქმედოს იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც პროვოცირებაზე მიდის.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება გადავიდა რეპრესიებზე, არა რომელიმე პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, არამედ მოსახლეობის წინააღმდეგ. თუ არ მოხდა დამნაშავეების დასჯა, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მწვანე აუნთო არასტაბილური გარემოს შექმნას. ეს არასტაბილური გარემო არ დაიწყება და არ დამთავრდება 19 მაისს. არამედ დაიწყება 19 მაისს და გაგრძელდება, არავინ იცის როდემდე.

**— ხელისუფლებას ეშინია ზუგდიდში არჩევნების წაგებით, იმ თვალსაზრისით, რომ სანდრა რულოვსის გამარჯვება ასოცირდება სააკაშვილის გამარჯვებასთან?**

— რეალურად ეს ასეა. რულოვსი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფიგურას. მოსახლეობა და ამომრჩეველი აღიქვამს, როგორც სააკაშვილს. რა თქმა უნდა, სანდრას გამარჯვება პირდაპირ ნიშნავს სააკაშვილის გამარჯვებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ მეთოდებით იბრძოლო, რაც ზუგდიდში ვნახეთ. ამ მეთოდებით ბრძოლა გამარჯვებას არ უზრუნველყოფს, უზრუნველყოფს დესტაბილიზაციას.

**— ერთია ზუგდიდი და მარნეული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მთაწმინდა, აქ ოპოზიციის გამარჯვება ნიშანია იმისა, რომ 2020 წელს მმართველ გუნდს გაუჭირდება რეგიონებში არჩევნების მოგება?**

— „ქართული ოცნებისთვის" 2020 წლის არჩევნები ყველა ვარიანტში მძიმე იქნება. თქვენ სწორად გამოყავით სამივე მნიშვნელოვანი რაიონი, სხვადასხვა პარამეტრით, მაგრამ ნებისმიერ სხვა რაიონში წაგება „ქართული ოცნებისთვის" იქნება ძალიან რთულად გადასატანი იმიტომ, რომ ოპოზიცია ამას გამოიყენებს ისევ ხელისუფლების წინააღმდეგ.

**— აქვს „ქართულ ოცნებას" იმის რესურსი, რომ შეძლოს ამომრჩევლის მობილიზება?**

— რა თქმა უნდა, შეუძლია. ეს აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა. ამიტომ ამომრჩევლის მობილიზების რესურსი ხელისუფლებაში არის. მაგრამ თუ პროცესი ასე წავიდა, 2020 წლისთვის შეძლებს თუ არა ამომრჩევლის მობილიზებას, ეს უკვე ცალკე თემაა.

**— რამდენად არსებობს მეორე ტურის ალბათობა? თქვენი კოლეგები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ცხელი წერტილი შეიძლება იყოს ზუგდიდში, მარნეულში და მთაწმინდის საარჩევნო ოლქში...**

— დიდი შანსია, რომ მეორე ტური ჩატარდეს ყველგან. როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას გაუჭირდება პირველ ტურში. არ ვიცი, რეგიონებში რა განწყობაა კანდიდატებთან მიმართებაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ყველგან რამდენიმე კანდიდატია, ეს ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით მეორე ტური ყველგან იქნება. რაც შეეხება ცხელ წერტილებს, რამდენად სტაბილურად ჩატარდება არჩევნები, ეს დამოკიდებულია ხელისუფლებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სანდრა რულოვსზე განხორციელებულ თავდასხმას არ მიეცა შეფასება, არა მარტო პოლიტიკური და საზოგადოებრივი, არამედ სამართლებრივი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება სტაბილურობისთვის კი არ იბრძვის, არამედ — პირიქით. მაშინ ცხელი წერტილები გარდაუვალია, არა მარტო ზუგდიდში, არამედ ყველგან.

**ესაუბრა**
**მართა ლაბაძე**

# გიორგი შენგელია: „ანაკლიაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს ვახორციელებთ"

**„ანაკლიის პორტი აუცილებლად აშენდება",** — ამის შესახებ განცხადება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" ზუგდიდის მერობის კანდიდატმა ანაკლიაში, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. გიორგი შენგელიას განმარტებით, ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რადგან ამ პორტში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და მუნიციპალიტეტის სწრაფი ეკონომიკური განვითარება მოხდება.

მმართველი გუნდის მერობის კანდიდატის თქმით, ანაკლიაში სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილია 6 მილიონი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, მათ შორის საბავშვო ბაღის მშენებლობა, კაფე-რესტორნის და ხიდის რეაბილიტაცია.

**„საარჩევნო კამპანიის ფარგლებში განვაგრძობთ მოსახლეობასთან შეხვედრებს. დღეს შევხვდით ანაკლიის მოსახლეობას და მათ იმ პრიორიტეტების შესახებ ვესაუბრეთ, რაც ჩვენი მთავარი უპირატესობაა. აღსანიშნავია, რომ ანაკლიაში ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, აშენდება ადაპტირებული და კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, ანაკლიასა და განმუხურში ხორციელდება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე, აღდგება ამფითეატრი, ზღვამდე მისასვლელი ბილიკები, განხორციელდება კაფე-რესტორნის და ხიდის რეაბილიტაცია. ანაკლიაში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა იყო, რომ კერძო სახლებისთვის მიგვენიჭებინა ნომრები, აღნიშნული პროცესი დაწყებულია და ძალიან მალე დასრულდება.**



**განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხი — ანაკლიის პორტში ძალიან ბევრი ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება და ეს პორტი ახალ პერსპექტივას გაუხსნის ჩვენს მოქალაქეებს",** — განაცხადა გიორგი შენგელიამ.

# მაღაროელები გაიფიცნენ

**ჭიათურაში მაღაროელები გაიფიცნენ, ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. მათ მოთხოვნებს შორის არის ხელფასის მომატება, კვებისა და ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესება. მათივე თქმით, ქალაქი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა.**

მაღაროელების განცხადებით, ხელმძღვანელობა ურეკავს, რომ აქციის გამართვა შეწყვიტონ, თუმცა ისინი პროტესტს მაინც აგრძელებენ.

**„აქ ვდგავართ მშრომელი ხალხი, არავინ იფიქროს, რომ პოლიტიკასთან რამე კავშირშია. არ გვაინტერესებს არც პოზიცია, არც ოპოზიცია. გვაინტერესებს ჩვენი უფლებების დაცვა და ვითხოვთ იმას, რაც გვეკუთვნის. ადამიანებად გვინდა, რომ ვიგრძნოთ თავი. სათანადო ყურადღება უნდა გვექცეოდეს. ვაპროტესტებთ იმასაც რომ ქალაქში გადაადგილდება მძიმეწონიანი მანქანები, დაბინძურებულია ქალაქი, ეკოლოგიური კატასტროფა არის, ბავშვები გვეწამლებიან. ჩვენ გვინდა,რომ ქალაქი იყოს მოწესრიგებული და ბავშვები გაიზარდნონ სუფთა გარემოში",** — ამბობენ გაფიცული მაღაროელები.

# საქართველოში ბატატის მოყვანა დაიწყო

**საქართველოში ბატატის — იმავე ტკბილი კარტოფილის — მოყვანა დაიწყო. 81 წლის კახელი ფერმერი მიმდინარე წლის აგვისტოში 60-დან 80 ტონამდე მოსავალს ელოდება. გასაღების ბაზარი უკვე მოძიებული აქვს. ცნობილია სავარაუდო ფასიც. რატომ გადაწყვიტა ბატატის მოყვანა, რისთვის გამოიყენება ბოსტნეულის ეს სახეობა და კიდევ რა გეგმები აქვს კახელ ფერმერს?**

ბატატი კარტოფილისებრთა ჯგუფის ბოსტნეული მცენარეა, თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას საერთო არაფერი აქვს კარტოფილთან. ის ტკბილია, გამოიყენება სხვადასხვა სახის კერძების მოსამზადებლად, იჭმევა როგორც უმი, ასევე შემწვარი, მოხარშული და გამომცხვარიც კი. ბატატის სამშობლოდ ითვლება კოლუმბია და პერუ, თუმცა ბოლო ხანების უმსხვილესი მწარმოებლები არიან ჩინეთი და ინდოეთი, ახლა კი ბატატის მოყვანა საქართველოშიც დაიწყო. ლაგოდეხში მცხოვრები 81 წლის **შოთა ერიაშვილი,** როგორც თავადვე ამბობს, პირველია ჩვენს ქვეყანაში, ვინც ამ ბოსტნეულის მასობრივი წარმოება გადაწყვიტა. შოთა ერიაშვილი პროფესიით ბიოლოგია. გვეუბნება, რომ აქ პირობები ბატატისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა: ახლა ნიადაგი მომზადებული მაქვს. წელს დაახლოებით 2 ჰექტარზე მომყავს, რისთვისაც 60-70 ათასი ნერგი გამოვიყვანე. ბატატი, ზოგადად, ძვირად ღირებული ბოსტნეულია, თუმცა, ამავე დროს, ძალიან სასარგებლო თვისებებს შეიცავს.

**შოთა ერიაშვილი: „შემთხვევით ვნახეთ ინფორმაცია ინტერნეტში ტკბილი კარტოფილის შესახებ. მისი ნამდვილი სახელწოდებაა ბატატი, თუმცა ჩვეულებრივ კარტოფილთან ნათესაური კავშირიც კი არ აქვს. ჩვენ უკრაინაში ვიშოვეთ სათესლე მასალა და გამოვიწერეთ. ჩამოვიდა, დავთესეთ. მივიღეთ კარგი მოსავალი, რომელსაც ახლა მთლიანად სათესლედ ვიყენებთ".**



Giorgi Aladashvili (RFE/RL)

81 წლის ბიოლოგს, შოთა ერიაშვილს, ბატატის ნერგები საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში აშენებულ სათბურში გამოჰყავს. სათესლე მასალა, რომელიც უკრაინიდან გამოიწერა, უკვე დანერგილი აქვს და მას ღია გარემოში რამდენიმე დღეში გადაიტანს. წელს 2 ჰექტარ ფართობზე მოჰყავს. ამბობს, რომ თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა და კარგი ამინდიც იქნა, დაახლოებით 60-დან 80 ტონამდე მოსავალს მიიღებს. შოთა ერიაშვილი ბატატის სასარგებლო თვისებებზეც გველაპარაკება:**ბატატი, ზოგადად, ძვირად ღირებული ბოსტნეულია, თუმცა, ამავე დროს, ძალიან სასარგებლო თვისებებს შეიცავს. მაგალითად, ჩვილი ბავშვების გამოსაკვებად ეს პროდუქტი არის რეკომენდებული, რადგან რძეც რომ არ ჰქონდეს დედას, მარტო ბატატის ფაფა რომ აჭამოს ჩვილს, ყველა საჭირო კალორიას მიიღებს ბავშვი.**

ვიდრე ბატატის მოყვანას დაიწყებდა, 81 წლის კახელმა ფერმერმა მისი გასაღების ბაზარი წინასწარ მოიძია. მას საქართველოში მსხვილ სუპერმარკეტების ქსელში შეიტანს. ამბობს, რომ ბატატის შესახებ საქართველოში შესაძლოა ბევრმა არაფერი იცოდეს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ბოსტნეულის ამ სახეობას დიდი პერსპექტივა აქვს. დღეს ბატატი საქართველოში მცირე რაოდენობით, თუმცა იყიდება. ის იმპორტულია და სხვადასხვა სეზონზე 5-დან 9 ლარამდე ღირს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გვითხრეს, რომ დღემდე საქართველოში ბატატი დიდ ფართობზე არავის მოუყვანია და ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ ცდები ტარდებოდა. ბატატის პირველ მოსავალს კახეთში აგვისტოს თვეში აიღებენ. პროფესიით ბიოლოგი შოთა ერიაშვილი კი მომავალ წელს სხვა იშვიათი სახეობის ბოსტნეულის მოყვანასაც აპირებს.

**გიორგი ალადაშვილი**




# განათლების სამინისტროს პოლიტიკური არითმეტიკა

**როგორ აპირებს განათლების სამინისტრო სკოლის პედაგოგთა ხელფასების 1500 ლარამდე გაზრდას, საპენსიო ასაკის მასწავლებლების პენსიაზე გაყვანას და მათი წასვლის შემდეგ წარმოქმნილი სიცარიელის შევსებას?**

## ვის და რამდენ ხანში გაეზრდება ხელფასი

2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტით გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება. სახელფასო ზრდა შეეხებათ ასევე რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს. პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.

განათლების მინისტრის მოადგილის **ირინა აბულაძის** თქმით, ჯამურად, განათლების სისტემა ითვლის 59 ათას მასწავლებელს, რომელთაგანაც 33 ათასი ყველაზე დაბალ, პრაქტიკოსის საფეხურზე იმყოფება.

**„ამ მასწავლებლებმა რომ ისარგებლონ სქემის შესაძლებლობებით, უნდა გადავიდნენ ზედა საფეხურზე. პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ ისინი გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას“,** — განმარტავენ განათლების სამინისტროში.

განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხელფასების ზრდის სქემის ეფექტიანობაში ეჭვი ეპარება პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრს სერგო რატიანს, რომლის თქმითაც, 59 ათასი მოქმედი პედაგოგიდან 26 ათასი ახლაც იმსახურებს 800-ლარიან ხელფასს, მაგრამ მათ არ აძლევენ დანამატს 320 ლარის ოდენობით იმის გამო, რომ ამ პედაგოგებს არ აძლევენ შესაბამის საათებს.

**„მიეცით ამ მასწავლებლებს დანამატი იმ პირობით, თუ ის არ იტყვის უარს საათებზე. სხვა შემთხვევაში, თქვენი დაპირება შეეხება მხოლოდ პედაგოგების 10 %-ს, ანუ სტატუსიანი პედაგოგების 77 %-ს ხელფასების ზრდა არ შეეხება“,** — ამბობს სერგო რატიანი. განათლების სამინისტროს მონაცემებით, 59 ათასი პედაგოგიდან 21 ათასს კომპეტენციის დადასტურების არც ერთი გამოცდა არა აქვს ჩაბარებული.

## რა თანხას მიიღებს პენსიაში გასული პედაგოგი ჯილდოს სახით?

საპენსიო ასაკის პედაგოგებს, რომლებსაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, სტატუსის ამაღლების და, შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია, ნებაყოფლობითი არჩევნის საფუძველზე, 2019 წელს სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო – ორი წლის ჯამური ხელფასი, რაც, განათლების სამინისტროს გაანგარიშებით, საშუალოდ 8 ათასი ლარია.

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში ექნება:

- თუ მასწავლებელს არა აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს 2019 წლის მაისის ბოლომდე;
- თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე;
- თუ მასწავლებელს არა აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, რომ აიმაღლოს სტატუსი, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ 2019 წლის ბოლომდე უნდა განაცხადოს.
- განათლების სამინისტროს მონაცემებით, იმ 21 ათასი მასწავლებლიდან, რომლებსაც კომპეტენციის დადასტურების არც ერთი გამოცდა არა აქვთ ჩაბარებული, დაახლოებით ნახევარი საპენსიო ასაკისაა.
- რა თანხის მობილიზებას აპირებს მთავრობა სექტემბრისთვის? ყველა საპენსიო ასაკის პედაგოგმა რომ გამოთქვას წასვლის სურვილი, შეუძლია მთავრობას 8-8 ათასი ლარის გადახდა? - საპარლამენტო ოპოზიციის მიერ დასმული ამ კითხვების პასუხად განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ მასწავლებლების ხელფასების ზრდისა და ერთჯერადი ჯილდოების გაცემისთვის, მთლიანობაში, დაახლოებით 200 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

## ვინ შეცვლის პენსიაში გასულ მასწავლებლებს

განათლების სამინისტროში ფიქრობენ, რომ პენსიაში მასობრივად გასვლის შემთხვევაშიც კი სისტემაში პედაგოგების დიდი დეფიციტი არ შეიქმნება, რადგანაც ბევრი მოქმედი მასწავლებელი შეძლებს დამატებითი საათების აღებას. გარდა ამისა, სკოლებს მიაშურებენ ახალგაზრდები ბაკალავრისა თუ მაგისტრის დიპლომებით, რომლებიც აქამდე ვერ ახერხებდნენ სკოლებში მუშაობას.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილიც მიიჩნევს, რომ სამინისტროს ინიციატივა კარს გაუხსნის ბევრ ახალგაზრდა და კვალიფიციურ კადრს, რომლებიც იძულებული იყვნენ, სკოლების ნაცვლად, მიმტანებად და კონსულტანტებად წასულიყვნენ რესტორნებსა და სუპერმარკეტებში.

განათლების სამინისტროს ასევე ეიმედება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამაში („ასწავლე საქართველოსთვის“) ჩართული ახალგაზრდების. სამინისტრო ასევე დიდ იმედს ამყარებს მასწავლებლებისთვის მაძიებლობის პროგრამის ამოქმედებასა და ონლაინ (დისტანციურ) სწავლებაზე.

## საარჩევნო ბეგარის დასასრული?

განათლების სპეციალისტი **რეზო აფხაზავა** მიიჩნევს, რომ პენსიონერების გასვლა და მათ ნაცვლად კვალიფიციური სპეციალისტების განათლების სისტემაში მიყვანა პრინციპულად სწორი ინიციატივაა, ისევე როგორც სწორი ინიციატივაა ხელფასების გაზრდა.

**„მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ღირსეული ხელფასი – ეს, ერთი მხრივ. მეორე ის, რომ მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ ამ პოზიციებზე, მაგრამ არ არიან კვალიფიციურები, უნდა შეიცვალონ კვალიფიციური კადრებით. წლების წინაც იყო ამგვარი ინიციატივა, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლები თუ კომპეტენციას ვერ დაადასტურებდნენ, უნდა გასულიყვნენ სისტემიდან, მაგრამ საარჩევნო ციკლის დადგომისთანავე გადაწყვეტილებები მიიღებოდა არაკვალიფიციური მასწავლებლების სასარგებლოდ და მოსწავლეების საზიანოდ“,** – უთხრა „რადიო თავისუფლებას“ რეზო აფხაზავამ, რომლის თქმითაც, განათლების სისტემაში უპირველესი მოსწავლის ინტერესებია. შესაბამისად, განათლების სამინისტროს ინიციატივას უნდა მოჰყვეს სხვა ნაბიჯები: ხელფასების გაზრდა, კვალიფიკაციისა და ხარისხის კონტროლი, ახალი კადრებისთვის სკოლაში შესვლის გზების გამრავალფეროვნება და ა.შ.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ განათლების სპეციალისტის **თამარ მოსიაშვილის** თქმით, განათლების სამინისტროს ინიციატივა აუცილებლად გაზრდის მასწავლებლების მობილობას, ანუ ახალი კადრების შედინებას სკოლებში:?

**„აქამდე სკოლაში დასაქმების გზა იყო ბუნდოვანი. სახელმწიფო მასწავლებლებს უყურებდა როგორც ელექტორატს, რომელსაც ხან დაუყვავებდა და ხან მკაცრად დაელაპარაკებოდა. ელექტორალური მოსაზრებების გამო ვერ ახერხებდა თანმიმდევრული, პრინციპული პოლიტიკის გატარებას. განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული ეს ცვლილებები კი აუცილებლად შეცვლის ვითარებას და სკოლებში მიიყვანს ახალ კადრებს. ამის მცდელობა ადრეც იყო რამდენჯერმე, მაგრამ ყოველ ჯერზე გადადეს“.**

განათლების მეცნიერების დოქტორ **შალვა ტაბატაძის** თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივა ითვალისწინებს სისტემიდან გამოსვლის მექანიზმის შექმნას, რაც აქამდე არ არსებობდა.

**„განათლების სისტემაში შესვლის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ შესვლას, რადგანაც სისტემას არ ჰქონდა გასვლის მექანიზმი. ამ მექანიზმის ამოქმედება საშუალებას მისცემს სასკოლო განათლების სისტემას, მიიღოს პედაგოგების ახალი ნაკადი. ამ თვალსაზრისით სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სიახლე პროგრესულია“,** – მიაჩნია შალვა ტაბატაძეს.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**



# იგეგმება თუ არა ჩაისა და მევენახეობის სუბსიდირება?



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** რამდენიმე დღის წინათ სამეგრელოში აგროსაინვესტიციო ფორუმზე ჩაის კულტურის და მევენახეობის სუბსიდირების ზრდა დააანონსა. მისმა ნათქვამმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პრემიერის მოსაზრება აღქმულ იქნა ისე, თითქოს, მთავრობა რთველისა და ჩაის წარმოებაში ფულადი დანამატის გაცემას ითვალისწინებდა. ეს აზრი უფრო განამტკიცა იმ შეხედულებამ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლება საბიუჯეტო რესურსისა და ადმინისტრაციული სახსრების მაქსიმალურ მობილიზებას შეეცდება.

**„ჩვენ შევძელით და აღვადგინეთ ჩაის წარმოების საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი, თუმცა ჯერ ჩვენ შორს ვართ იმ ნიშნულამდე, სადაც გვინდა, რომ ვიყოთ. მიღებულია გადაწყვეტილება და ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავზრდით სუბსიდიებს ამ მიმართულებით. სამეგრელოში ჩვენ გვაქვს უნიკალური ყურძნის ჯიშები. სამწუხაროდ, არ არსებობდა პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, ეს პოტენციალი სრულად წარმოგვეჩინა. აქედან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება და მევენახეობის მიმართულებითაც დავიწყებთ და გავზრდით სუბსიდირებას ამ კუთხეში“,** – განაცხადა პრემიერმა.

სუბსიდიები არათუ ჩაის მიმართულებით, უკვე რთველზეც აღარ გაიცემა. შესაბამისად, პრემიერის განცხადება საზოგადოებისა და სპეციალისტებისთვისაც გაუგებარი დარჩა. შესაძლოა მთავრობა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე სამომავლოდ მართლაც გეგმავდეს რაიმე აქტივობას, თუმცა წელს ამ მიმართულებით ბიუჯეტში გათვალისწინებული არაფერი არ არის. სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ პრემიერი დარგის მხარდაჭერას გულისხმობდა. ეს შეიძლება გამოიხატოს იმაშიც, რომ „ქართული ჩაის“ პროგრამის არსებული ნახევარმილიონიანი ბიუჯეტი 1 მლნ ლარამდე გაიზარდოს.

**„არანაირ სუბსიდირებაზე არ არის საუბარი. პრემიერმა იგულისხმა ჩაის გადარჩენისა და უნიკალური ვაზის ჯიშების აღდგენის სახელმწიფო პროგრამები და ამ მიმართულებით ფერმერების მხარდაჭერა“,** – განუცხადეს „ბიზნეს მედიას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თუმცა მოგვიანებით, უფრო ვრცელი და დეტალური განმარტება გააკეთა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა. **ლევან დავითაშვილის** განმარტებით, პრემიერი გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების გაზრდას ორ სექტორში – მეჩაიეობასა და მევენახეობაში.

**„პრემიერმა თქვა ზუსტად ის, რაც იგეგმება. ადამიანი იყო ფინანსთა მინისტრი და ზუსტად იცის, რას ნიშნავს სუბსიდირება და რას – არ ნიშნავს. სუბსიდირება არის ნებისმიერი თანადაფინანსების პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს და ბუნებრივია, ის გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსებას ორ სექტორში, რომელიც გაგრძელდება და გაიზრდება.**

**ბექა დანელია**




**1918 წლის აპრილში ევროპის გაზეთების პირველი გვერდები აჭრელდა სათაურებით „პოლიგამია საბჭოურად“, „ბოლშევიკებმა ქალთა ერთობა შემოიღეს“, „სახკომსაბჭომ პროსტიტუცია დააკანონა“ და ა.შ. დასტურად ბეჭდავდნენ დეკრეტის „რუსეთის ქალთა და ქალიშვილთა განსაზოგადოებრიობის შესახებ“ – სხვადასხვა ვარიანტს, ზოგან მიუთითებდნენ საბჭოთა „პირველწყაროს“.**

# საუკუნის ექსპერიმენტი – საერთო ცოლი

**„დეკრეტი რუსეთის ქალთა და ქალიშვილთა განსაზოგადოებრიობის შესახებ“ 1918 წლის 28 თებერვალს გამოჩნდა ქალაქ სარატოვის ქუჩებში.** ფურცლებით მოფენილი იყო ქალაქის მთელი ცენტრი, ხელს აწერდა **ანარქისტთა თავისუფალი გაერთიანება**. დაწერილი იყო რევოლუციური ლაკონიურობით, მკაცრი სტილით, შეიცავდა პრეამბულასა და 19 პარაგრაფს. პირველ სტრიქონებში ახსნილი იყო დოკუმენტის გამოცემის მოტივი: **„სოციალური უთანასწორობის და რევოლუციამდელი ქორწინების უსამართლობის შედეგად მდედრობითი სქესის ყველა საუკეთესო ეგზემპლარი ბურჟუაზიის საკუთრებაშია, რითიც დარღვეულია ადამიანთა მოდგმის სწორი გაგრძელების შესაძლებლობა. ამ უსამართლობის გამოსწორების მიზნით 1918 წლის 1 მაისიდან 17-დან 32 წლის ასაკის ყველა გათხოვილი ქალი ამოღებული იქნება კერძო საკუთრებიდან და გამოცხადდება „სახალხო საკუთრებად“.**

„დეკრეტის“ დებულებაში დაწვრილებით იყო განსაზღვრული **„სახალხო საკუთრების“ ეგზემპლარების რეგისტრაციისა და მოხმარების წესი.** „გასხვისებული“ ქალების განაწილება, როგორც დოკუმენტი გვამცნობდა, დავალებული ჰქონდა სარატოვის ანარქისტთა კლუბს. **დეკრეტის მიხედვით კაცები უფლებას იღებდნენ მოეხმარათ ერთი ქალი არაუმეტეს კვირაში სამჯერ „სამ-სამი საათით“. ამისთვის მათ დასჭირდებათ ფაბრიკის კომიტეტის, პროფკავშირის ან ადგილობრივი საბჭოს მოწმობის წარდგენა, რომ „მშრომელი ოჯახის“ წარმომადგენლები არიან“.**


ალექსანდრა კოლონტაი

შემდეგ ნათქვამია, რომ **ყოფილ ქმარს შეეძლება „სოციალიზირებულ“ ცოლთან ურიგოდ შესვლა. მაგრამ „დეკრეტის“ წინააღმდეგ მოქმედების შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ცოლთან სექსის უფლება.** ყოველი „მშრომელი წევრი“, რომელსაც სურს, ისარგებლოს „სახალხო საკუთრების ეგზემპლარით“, ვალდებული იქნება, ამისთვის გადარიცხოს თავისი გამომუშავების 9 პროცენტი, ხოლო კაცმა, რომელიც არ ეკუთვნის „მშრომელ ოჯახს“ – 100 მანეთი თვეში. ამ ფულით შეიქმნება „სახალხო თაობის“ ფონდი, საიდანაც 232 რუბლის ოდენობით მატერიალურად დაეხმარებიან ქალებს ფეხმძიმობისას და დაბადებული ბავშვების სარჩენად, რომლებსაც გაზრდიან სახალხო ბაღებში 17 წლის ასაკამდე, აგრეთვე პენსიები მიეცემათ ქალებს, რომლებმაც ჯანმრთელობა დაკარგეს „სექსუალურ ფრონტზე“.

„ეროტიკულ დეკრეტთან“ დაკავშირებით მოქალაქეთა რეაქციაზე ყველა ადგილობრივმა გაზეთმა დაწერა. სარატოვის ცენტრში, ბირჟის შენობასთან, სადაც ანარქისტთა კლუბი მდებარეობდა, შეიკრიბა გააფთრებული ხალხი (ქალები ჭარბობდნენ). ისმოდა ყვირილი, ლანძღვა. ქალებმა კარი შეანგრიეს და კლუბი სასტიკად დაარბიეს. ანარქისტები უკანა კარიდან ძლივს გაცვივდნენ.

„ქალთა ბუნტის“ მსხვერპლებმა ცხელ კვალზე გამოძიება ჩაატარეს და გამოარკვიეს, რომ **„წარუმატებელი ხუმრობის“ ავტორი იყო მიხეილ უვაროვი** – მეზობელი საჩაიეს პატრონი. რისთვის დასჭირდა მას „დეკრეტის“ „შემოგდება“, გაურკვეველი დარჩა. გაცოფებულმა ანარქისტებმა „ხუმარა“ უვაროვი, როგორც „საზოგადოების უსარგებლო წევრი“ მიასიკვდილეს, მისი საჩაიე კი პირისაგან მიწისა აღგავეს.

ანარქისტები გადარია არა მხოლოდ დეკრეტმა და მას მოყოლილმა კლუბის დარბევამ, არამედ იმან, რომ მათ – სახელმწიფო ხელისუფლების პრინციპულ მოწინააღმდეგეებს, ვიღაც არამზადამ სახელისუფლებო ქმედება დააბრალა.

მაგრამ „დეკრეტის“ ისტორია ამით არ დამთავრებულა. ყალბი დოკუმენტი მთელ რუსეთში ელვის სისწრაფით გავრცელდა. 1918 წლის გაზაფხულზე იგი ბევრმა გაზეთმა გადაბეჭდა. ერთი გაზეთი რომ მას ბეჭდავდა, როგორც კურიოზულ დოკუმენტს მკითხველის გასამხიარულებლად, მეორე – ანარქისტების და მათი საშუალებით საბჭოების დისკრედიტაციისთვის (ისინი ხომ ერთ ბლოკში შედიოდნენ), ხოლო სადღაც-სადღაც, მივარდნილ სოფლებში, ადგილობრივი აქტივისტები გაზეთებში გამოყენებულ „დოკუმენტს“ სინამდვილედ იღებდნენ და ტყავიდან ძვრებოდნენ, რათა მისი დებულებები ცხოვრებაში დაენერგათ.

**ეკატერინოდარის** არქივში დაცულია ასეთი „მანდატი“, მანქანაზე გადაბეჭდილი, საშინელი შეცდომებით: **„ამის წარმომდგენ ამხ. კარასეევს უფლება ეძლევა, ქალაქ ეკატერინოდარში მოახდინოს 16-დან 20 წლამდე ასაკის 10 სული ქალიშვილის სოციალიზება, ვისაც შეარჩევს ამხანაგი კარასეევი“.** მანდატს აქვს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის ვინმე ივაშოვის ხელმოწერა, დამოწმებულია ბეჭდით.

გაზეთი „ვლადიმირის უწყებანი“ მკითხველს აცნობებდა, „დეკრეტი“ მართალი დოკუმენტიაო, საჭიროდ ჩათვალა „სოციალიზაციის“ მასშტაბის გაფართოება და მის ტექსტს დაუმატა სიტყვები: **ნებისმიერი გოგონა, რომელიც 18 წლისა შესრულდა და ჯერ არ გათხოვილა, დასჯის შიშით უნდა დარეგისტრირდეს თავისუფალი სიყვარულის ბიუროში. დარეგისტრირებულს უფლება აქვს, აირჩიოს 19-დან 50 წლამდე მამაკაცი თანამცხოვრებ-მეუღლედ“.**

სამოქალაქო ომის დროს „დეკრეტი“ თეთრგვარდიელთა მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ იარაღად იქცა, ბუნებრივია, ისინი ავტორობას ბოლშევიკებს აბრალებდნენ. საბჭოთა რუსეთში სურსათის უკმარობის გამო მრავალ ქალაქში „მშიერი ბუნტი“ ხდებოდა, ისე რომ, ვითარება უაღრესად დაძაბული იყო და ხმები უახლოეს მომავალში ქალთა „ნაციონალიზაციის შესახებ“, ამ ისედაც უაღრესად გავარვარებული ვითარების კიდევ უფრო გამწვავებით იმუქრებოდა. მილიციამ იმათი ძებნა დაიწყო, ვინც პორნოგრაფიულ და სექსუალურ პროდუქციას ავრცელებდა.



„სოციალიზაციის შესახებ დეკრეტის“ პრაქტიკაში რეალიზებისთვის 1918 წლის ივნისში მოსკოვში დააპატიმრეს მანუფაქტურული სავაჭროს მფლობელი **ხვატოვი**. სასამართლოზე გაირკვა, რომ მან სოკოლნიკებში შეიძინა სამოთახიანი ქოხი და მას „კომუნარების სიყვარულის სასახლე“ უწოდა. ქოხში მან ასეთი „სიყვარულის მომხრე“ 20 ქალი ჩაასახლა, რომლებსაც „საოჯახო კომუნას“ უწოდებდა. ორ ოთახში ცალ-ცალკე ეძინათ ქალებსა და კაცებს, მესამეში კი ორადგილიანი საწოლი იდგა, რომელშიც დროდადრო წყვილები განმარტოვდებოდნენ ხოლმე „თავისუფალი სიყვარულისთვის“.

სასამართლო პროცესმა დიდი ხმაური გამოიწვია. ხვატოვის დამცველი იყო ცნობილი ბოლშევიკი, ქალთა უფლებების დამცველი, მომავალში პირველი საბჭოთა დიპლომატი ქალი, თავზე ხელაღებული ბოზანდარა ალექსანდრა კოლონტაი, რომელიც სასამართლოზე ცეცხლოვანი სიტყვით გამოვიდა „თავისუფალი სიყვარულის“ დასაცავად.

მაგრამ უსისტემო კავშირების მომხრეთა ტრიუმფი ჩაიშალა. გაცეცხლებულმა ქალებმა დაცვა „მიჯირყვნეს“ და დარბაზში შეიჭრნენ: „ულმერთოებო!“ „ღვთის მგმობელნო!“ – ყვიროდნენ გარყვნილების მოწინააღმდეგენი. საქმეში ჩაერთო „სასროლი იარაღები“ – ლაყე კვერცხები, დამპალი კარტოფილები, მკვდარი კატები... კარგად მოხვდათ მოსამართლეებს, ხვატოვს და მის დამცველ კოლონტაის. წესრიგის აღსადგენად ჯავშნოსანი მანქანა და შეიარაღებული მატროსები გამოიძახეს.

ხვატოვის პროცესზე ალექსანდრა კოლონტაის გამოსვლამ არა მარტო სასამართლო დარბაზში შეჯახება გამოიწვია, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი აღჭურვა მტკიცებულებებით: ყველამ დაინახა, რომ რკპ(ბ)-ს ცნობილი ხელმძღვანელები მხარს უჭერენ „სოციალიზაციის შესახებ დეკრეტის“... იდეებს და იცავენ იმათ, ვინც ამ იდეებს ცხოვრებაში ნერგავენ. ამან გვარიანად შეურყია ბოლშევიკებს რეპუტაცია, 1920-იანი წლების რუსეთის სექსუალური რევოლუციის ევროპულ გამოკვლევებში კოლონტაის შეხედულებები დღემდე უცვლელად არის მიჩნეული, როგორც სკანდალური „დეკრეტის“ ნამდვილობის დამამტკიცებელი საბუთი.

ხვატოვს ჩამოართვეს „სიყვარულის სასახლე“ (ბრალდება 5 წლით პატიმრობას და მთელი ქონების ჩამორთმევას ითხოვდა), ის მეორე დღესვე მოკლეს თავის დუქანში „დაუდგენელმა პირებმა“. ანარქისტებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიც განმარტავდნენ, რომ ეს იყო „შურისძიების აქტი და სამართლიანი პროტესტი „დეკრეტის“ გავრცელების წინააღმდეგ, რომელიც ლაფს ასხამდა იმათ პარტიას.

სარატოვულ ნაყალბევს, რაგინდ საოცრადაც მოგეჩვენოთ, მეორე სუნთქვა შესძინა... კომკავშირის დაბადებამ. ქვეყანაში გავრცელდა ხმები, რომ რუსეთის კომკავშირის წესდებაში პირველ პუნქტად იყო ახალგაზრდული კავშირის წევრთა უფლება ქალების მოხმარების დარგში. ინტერნეტში ახლაც შეიძლება მოიძიოთ ეს ფორმულირება: **„ყოველი კომკავშირელი ქალიშვილი ვალდებულია, დანებდეს ნებისმიერ კომკავშირელს პირველივე მოთხოვნაზე, თუ ის ყმაწვილი რეგულარულად იხდის საწევრო გადასახადს და ასრულებს საზოგადოებრივ დავალებას, სხვაგვარად ის უბრალოდ, მეშჩანი ქალია“.** ამ თემაზე დაწერილი სტატიების ავტორები იფიცებიან, „საიდუმლო პუნქტი“ 1929 წლამდე მოქმედებდა, როცა წესდების მეორე რედაქცია მიიღესო. ოღონდ „ეროტიკული დოკუმენტის“ არც ერთი ორიგინალი არავის არასდროს არსად არ წარმოუდგენია.

იხ. 9 გვ.

# პოეტის ერთი ლექსი

## ულამაზეს თათარ ქალს ზილია ხაბიბულინას, რომელმაც გადმომცა არაბული თქმულება — „ვინც თათარს ცოლად შეირთავს, სამოთხეში მოხვდებაო!“

ტანო-ტატანო, გულწარმტანო,
უცხოდ მარებო...
***
კვლავ მომკლა მისმა ციალმან
და წელთა მიმოტანამან.
**ბესიკი**

ცაში აფრინდა თეთრი ყორანი,
შენკენ დაიძრა ჩემი ბორანი,
განგებამ წამიკითხა მორალი,
მორალი იყო ნაშამქორალი.

მორალი იყო ნადიდგორალი,
მაგრამ სხვაგვარად ფიქრობს სატანა,
შენკენ დაიძრა ჩემი ბორანი,
შენთვის ტიტების ჩამოსატანად.

ვიყავი ულმობელი ფირალი,
ნააზრაგალი, ნაყაჩაღარი,
ნაკამჩატკარი, ნაციმბირალი,
და, აი, ტრაგიკული ფინალი!

არც მე მქონია ხმალი დახრილი,
მახსოვს, მახვილზე ბევრჯერ ამაგე,
ადრე მიპყრობდი ხმლით და მახვილით,
დღეს სილამაზით გამაჩანაგე.

გამტეხა შენმა ტანმა-ტატანმა,
ტანმა-ტატანმა, ტანო-ტატანო,
და ჩემი ეპისტოლე პატარა,
ტოროლას შენთან გამოვატანე.

გამტეხა შენი ტანის გიტარამ,
შენი ტიტები წვიმამ დანამა,
განაჩენი მეც გამომიტანა,
მაგ შენი ტანის მიმოტანამა.

მე შენს გულისთქმას მივაყურადე,
ვიცი, შემინდობს ჩემი იესო,
შენ თუ შეგინდობს შენი ყურანი,
რომ მოვიდე და მოგიალერსო.

სიტურფით ჯაბნი ყამარს და ევას,
შენახარ ჩემი მაღალი წნევა,
შენი მეუღლე ჯენეთში შევა,
მე ჯოჯოხეთის ჯურღმულში ვწევარ.

დამსეტყვა შენი ტანის გიტარამ
ტიტებისა და წეროს წვივებით,
ვარდები როგორ ჩამოგიტანო,
თუ შენს სიყვარულს შევეწირები?!

ფრინველო, მტაცებელო ფრინველო,
ბასრი ბრჭყალებით გული მომტაცე,
ვინც დამამარცხა, შენ ხარ პირველი,
თუმცა მეგონა თავი ლომკაცი.

გავიდა მარტი, გატყდა ზამთარი,
შავი ზამთარი — თეთრი აფთარი,
თათარო, ჩემთან არ ხარ მართალი,
მართალი არ ხარ, ჩემთან, თათარო!

P.S.
არ იცი ჩემი გუჯარი,
რა მხიბლავს, რა მძულს,
რა მიყვარს,
უთოფოდ, უხმლოდ,
უჯაროდ,
დამამარცხე და დამიპყარ!



**შოთა ზოიძე,**
მაისი, 2019წ.

# როცა ბაქვა სასარგებლოა!

## თბილისის მერიამ ახალი კულტურული პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ წარადგინა

**დედაქალაქის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა ახალი პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ წარადგინა. სამეფო უბნის თეატრში გამართულ ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია, საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი და შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

როგორც საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილმა განაცხადა, ახალი პროგრამა ევროკავშირის პროგრამას „შემოქმედებითი ევროპა“ ეხმიანება.

პროგრამის ამოცანაა შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნების გამოკვეთა, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობის, ჩართულობის გაძლიერება და მდგრადობა, კულტურული ტურიზმის განვითარება და ამით დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის გაზრდა.

პროგრამის საკონკურსო მიმართულებებია: საგამომცემლო საქმიანობა, დიზაინი და რეწვა, ვიზუალური ხელოვნება, აუდიოვიზუალური ხელოვნება.




„შემოქმედებითი თბილისის“ საკონკურსო განაცხადების მიღება იწარმოებს ვებგვერდზე www.culture.tbilisi.gov.ge. პროგრამისთვის შექმნილ ახალ ელექტრონულ პლატფორმაზე დაინტერესებული პირები დეტალური ინფორმაციის მიღებას და მათთვის პრიორიტეტულ მიმართულებაზე განაცხადის ონლაინ რეჟიმში გაკეთებას შეძლებენ.



## 140 წელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან ...

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „140 წელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან — მემკვიდრეობა და თანამედროვეობა.“

დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების მნიშვნელობაზე, პრინციპებსა და ისტორიულ კონტექსტზე. პირველ პანელზე საუბარი შეეხო საზოგადოების დამფუძნებელი პრინციპებისა და ღირებულებების მიმოხილვას, მის გავლენას თანამედროვე ქართულ სახელმწიფოზე. მეორე პანელი შეეხებოდა 140 წლის წინანდელი გამოწვევების ანალოგიებსა და პარალელებს თანამედროვეობასთან, ასევე, ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა პროპაგანდა და ჰიბრიდული ომი.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები და გაჟღერდა ინიციატივა, ყოველწლიურად, ჭავჭავაძის ცენტრის ეგიდით, გაიმართოს კონფერენცია დემოკრატიის მხარდაჭერისა და სამოქალაქო განათლების თემაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები, ექსპერტები და ახალგაზრდა მკვლევარები.

მრგვალი მაგიდა გახსნეს ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებლებმა ზაზა ბიბილაშვილმა და ნინო კალანდაძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ მედიის, სამოქალაქო სექტორის, აკადემიური სფეროს, ასევე — საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

პროექტი ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

## შიო არაგვისპირელის მუზეუმს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

თბილისის მუზეუმების გაერთიანება შიო არაგვისპირელის მუზეუმის რეაბილიტაციას იწყებს. მუზეუმში დაცული მემორიალური ნივთები 2016 წლიდან გადატანილია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დაცულ ფონდში მერიის კულტურის სამსახურის ნებართვის საფუძველზე და დალუქულია საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა დაცვის ინსტრუქციის შესაბამისად. შენობა გამარჯვებულ კომპანიას გუშინ გადაეცა სარემონტო სამუშაოების დასაწყებად, შესაბამისად, ის დაიცალა ძველი სტენდებისგანაც.

პროექტით გათვალისწინებულია ძეგლის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ისე, რომ სრულად იქნება დაცული როგორც ძეგლის არქიტექტურული თავისებურება, ისე სამუზეუმო საჭიროებები. ასევე, შენარჩუნებული იქნება ავთენტური კედელი და საბუხრე. პროექტი ითვალისწინებს შენობის ადაპტირებას.



სამუშაოები უნდა დასრულდეს 4 თვეში და მისი ღირებულებაა 125 821 ლარი. რეაბილიტაციის პროცესს ზედამხედველობას გაუწევს პროექტის ავტორთა ჯგუფი და თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების ფონდებისა და კოლექციების სამსახური.

## ვითიბი ბანკის მხარდაჭერით ე.წ. „წითელი ბაღი“ გაიხსნა

**ვითიბი** ბანკის მხარდაჭერით ე.წ „წითელი ბაღის“ გახსნის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. განახლებული პარკი მომღერალ სტეფანე მღებრიშვილის კონცერტით გაიხსნა. კონცერტის სპეციალური სტუმარი იყო ნანი ბრეგვაძე, რომელმაც ერთი ნომერი სტეფანესთან ერთად შეასრულა. ღონისძიებას თბილისის მერი კახა კალაძე დაესწრო, რომელმაც ვითიბი ბანკს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.



განახლებული პარკის ტერიტორიაზე მოეწყო 2 საბავშვო მოედანი, საპიკნიკე და დასასვენებელი ზონები, სავარჯიშო ზონა, საგამოფენო ღია სივრცე, დახურული სივრცე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოსაწყობად. პარკის გარშემო მოეწყო დაახლოებით 700-მეტრიანი საველოსიპედე ბილიკი.



# საგულისხმო ამბები ართურ იგნატიუს კონან დოილზე

**1. დოილი ბრიტანეთში ავტომობილის ერთ-ერთი პირველი მძღოლი იყო**

ამბობენ, როცა პირველი ავტომობილი შეიძინა, ტარება სულ არ იცოდა, მაგრამ უკვე 1911 წელს მან იმონაწილევა გარბენში, რომელიც პრუსიელმა უფლისწულმა მოაწყო, რათა ბრიტანელ და გერმანელ მძღოლთათვის შეჯიბრების საშუალება მიეცა. ამ შეჯიბრებაში დოილი მეორე ცოლთან ერთად გამოვიდა.

**2. სერ ართური სათხილამურო სპორტის პოპულიზატორი გახდა**

დოილს არა მარტო კრიკეტი და ფეხბურთი უყვარდა, არამედ ზამთრის სპორტული სახეობებიც. შვეიცარიაში რომ გადავიდა ცოლის ჯანმრთელობის მოსამჯობინებლად, კონან დოილი სპორტულ გარბენებში ვარჯიშობდა ორი ადგილობრივი ჭაბუკის დახმარებით – თანაც დაბინდებულში, რათა მეზობელთ სასაცილოდ არ აეგდოთ, ბოლოს და ბოლოს შვეიცარიელ ჭაბუკებთან ერთად დოილმა შეძლო მარშრუტის დაძლევა დავოსსა და აროზას შორის უღელტეხილის წიაღში, რითაც კიდევ უფრო შეაყვარა თავი იქაურთ, რომელთაც დიდად გახმიანებული სახელის გამო ტურისტ-მოთხილამურეთა მიზიდვის საშუალება მიეცათ.

დოილმა ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში ასობით ინგლისელი მოინახულებდა შვეიცარიას სათხილამუროდ.

**3. დოილმა ორჯერ იყარა კენჭი საპარლამენტო არჩევნებში.**

1901 და 1906 წლებში, როცა კონან დოილი იუნიონისტთა პარტიას წარმოადგენდა, პარლამენტის არჩევნებში ედინბურგის ოლქში იყარა კენჭი და თუმცა ძლიერი მხარდაჭერისა, გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა.

**4. რაც მედიცინამ დაკარგა, ის ხელოვნებამ შეიძინა**

ართურ დოილმა ოფთალმოლოგიური კაბინეტი გახსნა ლონდონში, მაგრამ, სამწუხაროდ, პაციენტი წამლად არ ჰყავდა. სამაგიეროდ, შეეძლო მთელი დროის მწერლობისთვის დათმობა.

**5. შერლოკ ჰოლმსის ავტორს ფერიების და მედიუმების სწამდა**

ეს ამბავი დოილს ჰარი გუდინისთან მეგობრობის ფასად დაუჯდა. გუდინი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა ყალთაბანდების სამხილებლად.

**6. დოილი და ბერნარდ შოუ წაიჩხუბნენ „ტიტანიკის“ გამო**

„ტიტანიკი“ რომ ჩაიძირა, დოილი და ბერნარდ შოუ საჯაროდ წაიჩხუბნენ კატასტროფის გამო, დოილი დიდად აღაშფოთა დრამატურგის აგდებულმა შენიშვნებმა იმ გმირობასთან დაკავშირებით, რაც ჩასაძირად განწირულ გემზე ხდებოდა.

**7. შვეიცარიაში დოილის პატივსაცემად იმისი სახელი დაარქვეს მოედანს**

შვეიცარიის დაბა მაირინგენში არის კონან დოილის მოედანი, შერლოკ ჰოლმსის ძეგლი და ჰოლმსისავე სახელმინიჭებული სასტუმრო – სწორედ იქ დატრიალდა „ბოლო საქმის“ ამბები, სადაც ჰოლმსი ვითომ დაიღუპა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95

**8. დოილი ხელყვავილიანი აღესრულა**

დოილი 1930 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა. თავის ბაღში ფუსფუსებდა, როცა ცუდად გახდა – ერთი ხელი გულზე იტაცა, მეორეთი ყვავილი ეჭირა. ბოლო, რისი წაჩურჩულებაც ცოლისთვის შეძლო, იყო – „მშვენიერი ხარ“.

**9. სიკვდილის შემდგომ სპირიტული სეანსით სცადეს მწერლის სულის გამოხმობა**

სეანსი გაიმართა ალბერტ-ჰოლში, სადაც რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი, იქ იყო აგრეთვე მწერლის ცოლ-შვილი. მართალია, ართურ კონან დოილის სული არა და არ გამოცხადებულა, მაგრამ დარბაზში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც იგრძნეს მწერლის „გამოცხადება“.

**10. პაბი „YE OLDE CHESHIRE CHEESE“ უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც არსებობს**

1666 წლის დიდი ლონდონური ხანძრის შემდგომ ააშენეს. „ძველი ჩეშირული ყველი“ იწოდება „300-წლიან ლიტერატორთა თავშესაფრად“. აქ, ამ ლუდხანაში, სხვადასხვა დროს ყოფილან უილიამ თეკერეი, ჩარლზ დიკენსი, ოლივერ გოლდსმიტი, მარკ ტვენი, ალფრედ ტენისონი, ართურ კონან დოილი და სხვა მწერლები.

**11. მთამსვლელნი – შთამაგონებელნი**

რორაიმის (Roraima) მთაზე ასული ექსპედიციის ანგარიშებმა შთააგონეს ართურ კონან დოილს რომანის – „დაკარგული ქვეყნიერების“ დაწერა.

## „ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“



*ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი*

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

**12. შეცდომებიც ხდებოდა**

ფილმ „შერლოკ ჰოლმსსა და დოქტორ ვატსონს“ რომ იღებდნენ, გადამღები ჯგუფი კონან დოილის ერთ პრინციპულ შეცდომას წააწყდა, დაშვებულს მოთხრობა „ჭრელ ლენტში“: გველს, რომელიც ჩამოკიდებულ ზონარს უნდა აჰყოლოდა, ეს არ შეუძლია – გველებს საერთოდ არ ძალუძთ ჩამოშვებულ თოკზე ასრიალება, ისინი მხოლოდ მყარ საყრდენზე სრიალებენ. ამიტომ გახდა შესაძლებელი მხოლოდ კედლის ხვრელიდან თავგამოყოფილი გველის მოხელთება.

**13. ტაქსისტი და ჰოლმსი**

კონან დოილი პარიზში ჩავიდა და ბაქანზე ტაქსისტი გააჩერა:

– სად მიგაბრძანოთ, მესიე კონან დოილ?

შემდეგ ასეთი დიალოგი გაიმართა:

კონან დოილი: – საიდან მიცნობთ?

ტაქსისტი: – თქვენი დედუქციური მეთოდი გამოვიყენე. უწინარესად, გავიხსენე, რომ გაზეთები რივიერაზე თქვენი ჩამობრძანების თაობაზე წერდნენ, თქვენ კი მარსელის მატარებლით ჩამობრძანდით, კოსტიუმი ინგლისური ყაიდისა გაცვიათ და ექიმსავით იქცევით; თქვენი მარჯვენა ხელის სალოკ თითზე მელნის ლაქა გამჩნევიათ, მაშასადამე, ბევრსა წერთ.

კონან დოილი: – ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხართ.

ტაქსისტმა თვალებდახრილმა მორცხვად მიუგო:

– კიდევ არის ერთი პატარა დეტალი, თქვენს ჩემოდანზე ეტიკეტია მიკრული, რომელსაც „კონან დოილი“ აწერია.

**14. მეტისმეტად სარწმუნო მისტიფიკაცია.**

შორეულ 1908 წელს ინგლისის გაზეთები აჭრელებული იყო სენსაციური ახალი ამბის სათაურებით: ვექილ რიჩარდ დოუსონის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ პილტდაუნის ახლოისად, გათხრებისას ნაპოვნია წინარეისტორიული ადამიანის თავის ქალა, რაც ევოლუციის ჯაჭვს ავსებს, გონიერმა არსებამ რომ გაიარა მაიმუნიდან ადამიანამდე.

„პილტდაუნური თავის ქალა“, როგორც ამ ნაპოვნს უწოდეს, სენსაციად იქცა სამეცნიერო სამყაროში. მალე გაჩნდა მრავალი სტატია და არაერთი კარგა მოზრდილი მონოგრაფია იმ თავის ქალაზე. თუმცა იყვნენ ისეთი მეცნიერებიც, ეჭვის თვალით რომ უცქეროდნენ თავის ქალას ნამდვილობას.

თავის ქალა და ყველაფერი, რაც იმის პოვნასთან იყო კავშირში, გულმოდგინედ იქნა შესწავლილი. ის კი არა, პარლამენტის მონაწილეობით ოფიციალური გამოკვლევა მოითხოვა ზოგიერთმა, მაგრამ გამოკვლევა გულისწყრომით უარყვეს როგორც „ბრიტანული მეცნიერების შეურაცხყოფა“.

იმ დროიდან არაერთი წლის სიგრძეზე მსოფლიოს ანთროპოლოგთა უმრავლესობა „პილტდაუნურ თავის ქალას“ თვალსაჩინო მეცნიერულ აღმოჩენად მიიჩნევდა.

მხოლოდ 1953 წელს სკოტლანდ-იარდის ლაბორატორიებში ჩატარებული რენტგენოლოგიური და ქიმიური ანალიზების შემდგომ დამტკიცდა სკეპტიკოს მეცნიერთა ვერსია ნაყალბეობის თაობაზე. ექსპერტების აზრით, სიყალბე ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის ნახელავი იყო. იმას ოსტატურად შეეერთებინა ადამიანისთვის ქალას ზედა ნაწილი ორანგუტანის ყბისთვის.

მაგრამ ნაპოვნის ამბავი ამით არ დამთავრებულა. ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ ჰეტუი-უინალოუმ, რომელიც გატაცებულია ისტორიულ ფილსიფიკაციათა შესწავლით, ამას წინათ გაასაჯაროვა თავის კვლევათა შედეგები. ამერიკელი მეცნიერის აზრით, მისტიფიკაცია ჩაიფიქრა და განახორციელა სხვა ვინმემ კი არა, არამედ თვით მსოფლიოში ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ართურ კონან დოილმა.

იმდროინდელ მოწმეთა თანახმად, არქეოლოგიით გატაცებული ადვოკატი რიჩარდ დოუსონი აუგად იხსენიებდა კონან დოილის რომანებს. ისინი მეზობლები იყვნენ – დოუსონის ქალაქგარეთა სახლი დოილის მამულს ემიჯნებოდა. დოუსონისგან მწარედ კბილგაკრულმა დოილმა მწყენინებლის გამასხარავება გადაწყვიტა.

მწერლის ნაცნობმა ქალბატონმა ჯესი ფოულესმა, რომელსაც ანტიკვარული მაღაზია ჰქონდა, კონან დოილს ძველრომაულ აკლდამაში ნაპოვნი თავის ქალა აჩუქა. მეორე ნაცნობისგან, კუნძულ ბორნეოელელი ექიმისა და მოყვარული ზოოლოგისგან კონან დოილმა ორანგუტანის ყბა იყიდა. მწერალმა ნადფილისა და ბორმანქანის საშუალებით ის თავის ქალა და ორანგუტანის ყბა შეაერთა, მერე ეს კარგად გაჩარხული თავის ქალა ქიმიკატებით დაამუშავა, რათა რაც შეიძლება „დაეძველებინა“ პირველყოფილი ადამიანის ქალა.

იცოდა რა თავისი მეზობლის არქეოლოგიური გატაცების ამბავი, მწერალმა იქვე, ეზოში ძველი მაღარო რომ იყო, იქ ჩაუფლა თავისი სიურპრიზი. ადვოკატი ეგრევე წამოეგო ანკესს და ნაპოვნი ქალა ბრიტანეთის მუზეუმის სამეცნიერო საზოგადოებაში მიიტანა.

ასე წარმოიშვა „პილტდაუნელი ადამიანის“ სახელ-დიდება, რაც ისე საყოველთაოდ გახმიანდა, რომ დოილმა ვერ გაბედა თავისი ფალსიფიკაციის ხმამაღლა გაცხადება. მაგრამ თავის დღიურში ჩაწერა: „იმის მაგივრად, რომ უვიცნი ჩავფლათ თავიანთი უვიცობის ორმოში, მე იქ მეცნიერება ჩავფალი“. დოილმა თვით სიკვდილამდე ვერ გაიგო, რომ მეცნიერებამ მაინც აღმოაჩინა ჭეშმარიტება.

**(გაგრძელება იქნება)**



# ქმნა მართლისა სამართლისა...



**„ვინმემ რომ თქვას, მე კაცი იმიტომ მოვკალი, ტრადიცია მეუბნებოდა, სისხლი აიღეო, ეს არ გაამართებს და ბრალს არ შეუმსუბუქებს“,** — აცხადებს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** და მაჩალიკაშვილების ოჯახის ტრაგედიას ეხმაურება.

**— მალხაზ მაჩალიკაშვილთან მიმართებით შემდგომი ეტაპი დამოკიდებულია იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურატურა. როგორ გესახებათ პანკისელებთან დამოკიდებულება ორივე ფინალის შემთხვევაში, რასაც ჰქვია მალხაზ მაჩალიკაშვილის გამართლების ან დაკავების შემთხვევა?**

— რთული საკითხია, ერთ მხარეს ტერორიზმის საფრთხეა, მეორე მხარეს — ცოტა გაღიზიანებული პანკისის მოსახლეობა. მით უმეტეს, დიდი ხანი არ გასულა იმის შემდეგ, რაც პანკისში 21 აპრილს დაძაბულობა მოხდა. ცხადია, თუ საბოლოოდ გამოძიება მივა იმ დასკვნამდე, რომ ტერორისტული აქტის მომზადების მცდელობა იყო და მაჩალიკაშვილს შესაბამისი ქმედებები განხორციელებული ჰქონდა, ამ საქმის ფინალიც შესაბამისი იქნება. აქ არ იგულისხმება მხოლოდ საუბრის ჩანაწერი, არამედ უნდა იყოს გარკვეული მოქმედებები შესრულებული, მაგალითად, განხორციელებული თვალთვალი, იარაღის შეძენა, თორემ მარტო განზრახვა ტერორისტული აქტის ჩასადენად და ბრალის წასაყენებლად საკმარისი არ არის, თუ მას ქმედებები არ ახლავს. ვნახოთ, გამოძიების პროცესი მიმდინარეობს, ძნელი სათქმელია, რით დასრულდება. თუ ეს ქმედებები აშკარა იყო და მაჩალიკაშვილს ბრალი წაუყენეს ტერორიზმის მომზადებაში, ან უფრო მძიმე დანაშაულში, მაშინ, რასაკვირველია, პანკისელი მოსახლეობის როგორი პროტესტიც არ უნდა იყოს, სამართალი უნდა აღსრულდეს და პანკისის მოსახლეობა ამას გაიგებს, თუკი გამოძიება კვალიფიციურად ჩატარდება და ბრალი გამყარებული იქნება რეალური მტკიცებულებებით და არა მხოლოდ ერთი ჩანაწერით, რომელიც ქმედებების გარეშე არ იძლევა საფუძველს.

**— ცხადია, ფიქრებისა და საუბრის გამო ვერ გაასამართლებენ ადამიანს, მაგრამ, თუკი მალხაზ მაჩალიკაშვილს შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა, ამ ფაქტის გასაჯაროების შემდეგ შეიძლება გადაიფიქროს?**

— რასაკვირველია, ფიქრებისა და მარტო ლაპარაკის გამო, თუ ამას ქმედება არ ახლავს, ადამიანს ვერ გაასამართლებ. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც განზრახვა უკვე არის დანაშაული, ეს არის შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, რომც არაფერი მოიმოქმედოს ამის ჩამდენმა, მხოლოდ განზრახვაც საკმარისია, ბრალი წაუყენონ ხელისუფლების ძალადობით დამხობაში. ამ შემთხვევაშიც, თუკი ტერორისტული აქტის მომზადებასთან გვაქვს საქმე, მარტო ის, რომ მაჩალიკაშვილი დავალებას აძლევდა თავის ძმისშვილს, კაცს ვერ დაიჭერ. აქ მთავარია, ხომ არ მოჰყვა ამას ქმედება, თვალთვალი, ადგილის შესწავლა, იარაღის შეძენა. თავისთავად, რომ ეს ფაქტი აღიკვეთა, გამჟღავნდა, ეს უფრო მნიშვნელოვანია და ამის შემდეგ ის ამ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანს. თანაც, იგი სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშაა. ახლა მოსახლეობის პროტესტი და ემოციური ფონი გასაგებია, შვილმკვდარი მამა მართლაც ძალიან მძიმე შემთხვევაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ ამართლებს ტერორიზმს, საერთოდაც, ტერორიზმს გამართლება არა აქვს. როგორი პროტესტიც არ უნდა იყოს, სახელმწიფომ ეს საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

**— პანკისელები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ხელოვნურად ცდილობს, შვილმკვდარი მამის საქციელი ტერორიზმად მონათლოს. რამდენად ჯდება მალხაზ მაჩალიკაშვილი კლასიკური ტერორისტის ტიპაჟში?**

— ტერორიზმი განმარტებულია ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლით. განზრახვა იყო ასეთი, რომ დანაშაულებრივი აქტი განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურის — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მაშინდელი მოადგილის მიმართ, თანაც არა მარტო მის მიმართ, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და კიდევ სხვა თანმხლები პირების მიმართაც. ეს უკვე საკმარისია, ეს საქმე ტერორისტულ მიზნად ჩაითვალოს. რაც შეეხება ვენდეტას, რომ დავფიქრდეთ, ნებისმიერი ტერორისტული აქტი შეიცავს შურისძიების მომენტსაც, 11 სექტემბრის აქტიც ვენდეტა იყო, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ 11 სექტემბერს ტერორისტული აქტი არ მომხდარა. ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული შეფასება, თორემ ამას სამართლებრივ შეფასებასთან კავშირი არა აქვს. ვიმეორებ, ჩვენი სამართალი განმარტავს, თუ დანაშაული მიმართულია სახელმწიფო სტრუქტურის წინააღმდეგ, მის მოსასპობად, გასანადგურებლად, რასაკვირველია, ეს ცალსახად ტერორიზმია. ახლა მოტივი შურისძიება იყო, დაშინება თუ სხვა რამ, ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჯერ კიდევ მაქვს იმედი, ყოველგვარი ზედმეტი პოლიტიზირების გარეშე გამოძიება ბოლომდე კვალიფიციურად მიიყვანს საქმეს და, თუ დანაშაული იყო ჩადენილი, სასამართლო თავის სიტყვას იტყვის, რომ ასეთი რამ დაუშვებელია და ვერც ერთი სახელმწიფო ამას ვერ აიტანს.

**— შეიძლება, პროცესების გართულებას მოჰყვეს პანკისელების თბილისში გადმონაცვლება?**

— არ მოჰყვება, თუ გამოძიება იქნება კვალიფიციური და, თუ მართლაც იგეგმებოდა ასეთი დანაშაული. თუ ვინმე ეცდება, ეს პროვოკაციისთვის გამოიყენოს და პოლიტიკური კუდები მიაბას, მაშინ სახელმწიფომ შესაბამისი ზომები უნდა გაატაროს.

**— მექა ხანგოშვილი აცხადებს, რომ სასაფლაო ვაინახებისთვის წმინდა ადგილია და მაჩალიკაშვილი სასაფლაოზე არაფრით მოკლავდა ადამიანს.**

— შესაძლოა, არც მოეკლა და არც ჰქონია ასეთი განზრახვა, უბრალოდ, გამწარებულმა ადამიანმა რაღაც თქვა, მაგრამ ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა გვითხრას, თორემ ახლობლების ნათქვამი გასაგებია და ემოციური ფონიც გასაგებია. რასაკვირველია, ტრაგედიაა მისი შვილის ამბავი, ახალგაზრდა კაცი ასეთ ვითარებაში დაიღუპა, მაგრამ ეს არ ამართლებს ტერორიზმს. რაც შეეხება ვაინახთა მენტალიტეტს, ჩვენი სახელმწიფო პატივს სცემს ტრადიციებს, მაგრამ ვენდეტა, სისხლის აღება, მით უმეტეს, როცა ეს სახელმწიფო სტრუქტურის წინააღმდეგაა მიმართული, ცალსახად ტერორისტული აქტია.



**— ქისტი უხუცესები ამბობენ, ჩვენ ქართველ ხალხთან პრეტენზია არ გვაქვს, ჩვენ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე, რადგან ქართველი ხალხი ჩვენ მხარს გვიჭერს. როგორ ფიქრობთ, პანკისელების თვალში ერთმანეთისგან გამიჯნულია საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი?**

— ასეთი ჰონორით არ უნდა გველაპარაკონ, ეთნიკურ განსხვავებებზე საუბარი ზედმეტია, ტრადიციების მიუხედავად, საქართველოში ყველა ვალდებულია, კანონებს დაემორჩილოს. ტრადიციებს ჩვენი სახელმწიფო პატივს სცემს, მაგრამ აქ იგულისხმება ის ყოფითი ტრადიციები, რომლებიც მოქმედ სამართალს არ ეწინააღმდეგება. ვინმემ რომ თქვას, მე კაცი იმიტომ მოვკალი, ტრადიცია მეუბნებოდა, სისხლი აიღეო, ეს არ გაამართებს და ბრალს არ შეუმსუბუქებს. პირიქით, ეს უფრო დაუმძიმებს ბრალს. შურისძიების მიზანი კანონსაწინააღმდეგოა და არავის ეპატიება. კავკასიური ტრადიცია მხოლოდ სისხლის აღება არ არის, ვაჟას „სტუმარ-მასპინძელიც“ კავკასიური ტრადიციაა, ეგეთი სისხლისმსმელები ხომ არა ვართ კავკასიელები. ეს პრინციპულად არასწორია.

## „კავკასიური ტრადიცია მხოლოდ სისხლის აღება არ არის, ვაჟას სტუმარ-მასპინძელიც კავკასიური ტრადიციაა“

**— სესიაშვილის განცხადებამ ქისტების აღშფოთება გამოიწვია. ისინი ამბობენ, რომ სესიაშვილმა უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია და ტერორისტად გამოაცხადა თემირლანი, რომლისთვისაც სახელმწიფოს ამ კუთხით არ წაუყენებია ბრალი.**

— თემირლანი გარდაიცვალა და ბრალს როგორ წაუყენებდნენ?! როდესაც ადამიანი იღუპება, ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურა წყდება. შესაძლოა, მთლად კორექტული არ იყო სესიაშვილის განცხადება, სანამ სასამართლო არ გამოიტანს მსჯავრს, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს, მაგრამ ამ საქმეში, დიდი ალბათობით, ჩაბმული იყვნენ არა მარტო ჩვენი საგამოძიებო სტრუქტურები, არამედ ამერიკელებიც. შესაძლოა, ინფორმაცია ჰქონდათ თემირლანთან დაკავშირებითაც, იმიტომაც დაიგეგმა მაშინდელი სპეცოპერაცია. სხვა საქმეა, რამდენად პროფესიულად დაიგეგმა, მსხვერპლით რატომ დასრულდა. ამასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობს და ეს გამოსაძიებელია, მაგრამ ის, რომ პანკისში არაფერი არ უნდა განხორციელებულიყო, ეს არასწორია. უბრალოდ, მე ვმსჯელობ მეთოდზე, რატომ მოხდა ისე, რომ სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა, როცა შეიძლებოდა ეს უფრო პროფესიონალურად გაკეთებულიყო.

**— მომხდარის გამო ქისტები დაზარალებულად თვლიან თავს. ამდენად, მნიშვნელოვანია მათი პოზიცია. სიტუაციას ხომ არ განმუხტავდა ის, რასაც ქისტები ითხოვდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეთქვა, რომ შემთხვევით გაუვარდა სპეცრაზმელს?!**

— არ ვიცით, ობიექტურად იქ რა მოხდა, სიმართლე უნდა ითქვას და სიმართლემ უნდა განმუხტოს ვითარება. „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ნებისმიერ ვითარებაში გამოსავალია სამართალი. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა პანკისში, არ შეგვიძლია ამის გარკვევა, სანამ გამოძიება ბოლომდე არ მივა. არც ის ვიცით, იყო იქ სპეცრაზმელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება, არაპროფესიონალიზმი? ოფიციალური ვერსია ჯერჯერობით ასეთია, რომ დაკავების მომენტში საფრთხე შეიქმნა, ყუმბარის აფეთქების რეალური რისკი იყო და იმიტომაც მოხდა გასროლა.

**— მაგრამ რამდენად სანდოა ეს ვერსია, არავინ იცის...**

— შესაძლოა, არც იყო ასე და მაჩალიკაშვილის ვერსიაა უფრო რეალური. ასე რომ, კითხვის ნიშნები არსებობს ამ საქმესთან მიმართებით, მათ შორის, საინტერესოა, რა საჭირო იყო ასეთი სპეცოპერაციის ჩატარება, როცა სხვაგვარად შეიძლებოდა მისი დაკავება?!

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# ავსტრიის სკოლებში ჰიჯაბის ტარება აიკრძალა

**ავსტრიის** საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი ავსტრიის ტერიტორიაზე დაწყებით სკოლებში მუსულმანური თავსაბურავის, ჰიჯაბის ტარების აკრძალვის შესახებ. ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს.

მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტს მხარი დაუჭირეს მმართველმა სახალხო პარტიამ და თავისუფლების პარტიამ. კანონის წინააღმდეგ მისცა ხმა თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ. „დოიჩე ველეს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით ახალი კანონით აიკრძალება ისეთი სამოსის ტარება, რომელიც რელიგიური შეხედულებით ან სხვა იდეოლოგიით არის შთაგონებული და თავის შემოსვას გულისხმობს. აკრძალვა არ ეხება ებრაულ კიპას, რომელიც როგორც კანონპროექტშია განმარტებული, მხოლოდ თავისა და თმის მცირე ნაწილს ფარავს. ადგილობრივი მედია ვარაუდობს, რომ კანონი შეიძლება ოპოზიციურმა პარტიებმა ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ.



◉ ჩვენებურები

# უკმაყოფილოთა სნეულება

## რა სიმპტომები მიგვანიშნებს გულთან დაკავშირებულ პრობლემებზე

**გულსისხლძარღვთა დაავადებათა მიზეზით სიკვდილიანობა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ ხალხს აინტერესებს, თუ რა სიმპტომები მიანიშნებს ამ სახიფათო სნეულებათა წარმოშობა-განვითარებას, არსებობს თუ არა სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობა გულთან დაკავშირებული კატასტროფის შემდგომ.**

*ამ და კიდევ რამდენიმე სხვა, მეტად აქტუალურ საკითხზე საუბრობს ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჩვენი თანამემამულე* **იური ბუზიაშვილი**.



— მედიკოსებმა დიდი ხანია, შეამჩნიეს, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებები უფრო ხშირად იმ ადამიანებს წარმოეშვებათ, ვინც ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობას გამუდმებით განიცდის, — ამბობს აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი. — ეს გარემოება შინაგან სტრესს იწვევს, ხოლო მერე თუ მას კიდევ გარე სტრესიც ემატება, სნეულების წარმოშობა, ფაქტობრივად, გარდუვალია. განცალკევებითაა გულის თანდაყოლილი დაავადებები, რომელთა მიზეზი ორგანოთა მშობიარობამდელი არასწორი განთავსებაა, აგრეთვე ისინი, რომლებსაც გადატანილი ავადმყოფობები იწვევენ.

დიდი ხნის მანძილზე თვლიდნენ, რომ კიბოს წარმოშობის საფრთხე 40 წელს გადაცილებულ პაციენტთა ხვედრია, ინფარქტის განვითარება კი უფრო 50 წელს ზემოთაა საფრთხილო. სამწუხაროდ, სადღეისოდ გულის დაავადებები საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. ამ პროცესის მიზეზები ბოლომდე გაურკვეველია, რადგან ასეთ მოკლე დროში გენეტიკური ცვლილებები ვერ წარმოიშვებოდა. თანამედროვე ახალგაზრდები თავიანთ წინაპრებზე მეტს არ მუშაობენ, ამდენად ვვარაუდობთ, რომ ეს, შესაძლოა, იმუნიტეტის დაქვეითების გამო ხდება, რასაც გაუარესებული ეკოლოგია და ცხოვრების არნახულად გაზრდილი ტემპი იწვევს. დიდი ხანია, დადგენილია, რომ გულის სნეულებები ძირითადად ქალაქის მცხოვრებთა სენია, სოფლები კი წლების მანძილზე სულ უფრო მეტად ცარიელდება.



სამწუხარო ფაქტია: დედამიწაზე თითქმის აღარ დარჩა ეკოლოგიურად სუფთა რამდენადმე ვრცელი მხარეები და აგრარული ქვეყნები. მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან ბევრ ადგილას, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, 70 წელს გადაცილებულთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ შემცირდა.

აკადემიკოს იური ბუზიაშვილის თქმით, **ეს ხდება არა საყოველთაოდ, არამედ მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც მედიცინაზე სახსრებს არ იშურებენ**. დღესდღეობით, გულსისხლძარღვთა დაავადებების დროულად დიაგნოსტირება და, შესაბამისად, მათი გაკონტროლება შეიძლება. ამიტომაცაა, რომ დასავლეთის ქვეყნებში აუარება კარდიოქირურგიული კლინიკა და სარეაბილიტაციო ცენტრია, სადაზღვევო კომპანიები კი პაციენტების მკურნალობის საფასურს იხდიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სადაზღვევო მედიცინა (ისევე, როგორც ერთიანად მთელი სადაზღვევო სისტემა!) მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, მაგრამ დასავლეთის სადაზღვევო კომპანიები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ სადაზღვევო შემთხვევა რაც შეიძლება გვიან, ანდა, სულაც, საერთოდაც არ დადგეს, ამიტომაც უყოყმანოდ იხდიან ფულს მკურნალობის თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მეთოდებში მათი სიძვირის მიუხედავად. თანაც, მზღვევლები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ პაციენტებს, თანამედროვე შემწეობების შესაბამისად, დროულად მკურნალობდნენ.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ **გულსისხლძარღვთა დაავადებების ისეთი გამოვლინებები, როგორებიცაა არტერიული წნევის მომატება, ჰაერის უკმარისობა, ტკივილები და სხვა, თავს მაშინ იჩენენ, როცა სნეულება სრულად გამოაშკარავდება**. ამიტომაც, საჭიროა, პაციენტმა ექიმს გაცილებით ადრე, კერძოდ კი, მაშინ მიმართოს, როცა თავს იჩენენ ნებისმიერი გადახრები (ვთქვათ, ძილის დარღვევა, უმადობა, უგუნებობა, განგაშის შეგრძნება და ა.შ.), რომლებიც მრავალი ავადმყოფობის, მათ შორის, გულის დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს.

საიმისოდ, რომ საგანგაშო სიმპტომების გაჩენისას პანიკა არ წარმოიშვას, 30-40 წლის ასაკისთვის ნებისმიერმა კაცმა აუცილებლად უნდა გაიჩინოს მეგობარი ექიმი, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ წლიდან წლამდე იქნება და რომელიც უმალ გაარჩევს სახიფათო სიმპტომებს უმნიშვნელესისგან.

უწინ თვლიდნენ, რომ 140/70-ზე წნევის მქონე ადამიანის კოსმოსში გაშვება შეიძლებოდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი ჰიპერტონიის საწყის სტადიადაა მიჩნეული. მრავალწლიანი დაკვირვებებით დასტურდება, რომ ის პირები, რომელთა მუშა წნევა ვერცხლისწყლის სინდიყის მაჩვენებელი 120/80-ზეა სხვებზე დიდხანს ცოცხლობენ და სახიფათო გართულებებიც ნაკლებად ემართებათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ასაკის მატებასთან ერთად, წნევა ყველას უწევს, თუმცა ამის მიუხედავად, ხანდაზმულ ასაკშიც იგივე რჩება. მაგრამ ამის მისაღწევად ადამიანთა უმეტესობას ჰიპოთენზიური პრეპარატების მიღება სჭირდება**.

გულის სნეულებათა პრევენციის ერთ-ერთი გზა სწორ კვებაზე გადის — აქ უპირატესობა რძის მჟავე ნაწარმსა და ბოსტნეულ საკვებს ენიჭება. ასევე მიჩნეულია, რომ გულის მუშაობაზე დადებითად მოქმედებს ჩირი — კურაგა, ქიშმიში, შავქლიავა. თუმცა, ეს პანაცეა სულაც არ არის.

გულის ინფარქტი შეიძლება ნებისმიერ ადამიანს მოუვიდეს, თუკი ერთდროულად ერთ წერტილში თავს მოიყრის რამდენიმე უარყოფითი ფაქტორი. თუ ცინიკურად ვიტყვით, გულის იშემიური სნეულებით დაავადებულ პაციენტთა ნახევარი გამუდმებით წინასაინფარქტო მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სწორი მკურნალობის წყალობით ინფარქტის თავიდან არიდებაცაა შესაძლებელი.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ინფარქტი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ყველაფერი მიოკარდის დაზიანების ხარისხზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუკი სარეაბილიტაციო ღონისძიებები დროულად დაიწყო და სწორად ჩატარდა, დიდია იმის ალბათობა, რომ ინფარქტის შემდეგ პაციენტი შეძლებს, დაუბრუნდეს სრულფასოვან ცხოვრებას. ოღონდ მას სულ უნდა ახსოვდეს თავისი მდგომარეობა და ექიმის გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს. თუმცა საექიმო კონტროლი არც არავისთვის არ იქნება ზედმეტი.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

◉ ჩაშლილი სექსუალური „რევოლუცია“

(მეხუთე გვერდიდან)

# საუკუნის ექსპერიმენტი – საერთო ცოლი

სამაგიეროდ არქივმა შემოინახა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ.ი. ლენინის პასუხი 1919 წლის თებერვალში სიმბირსკის გუბერნიის სოფელ მედიანისიდან შემოსულ საჩივარზე: **ადგილობრივმა ღარიბკომმა თვითნებურად განკარგა ახალგაზრდა ქალიშვილების ბედი, როცა ისინი მეგობრებს ჩამოურიგეს, არ გაითვალისწინეს არც მშობლების წინააღმდეგობა, არც სალი აზრის მოთხოვნა.**

ლენინი სიმბირსკის გუბალმასკომის და ადგილობრივი ჩეკას სახელზე წერს: **„დაუყოვნებლივ მკაცრად გამოიძიეთ (თუ დამტკიცდება, დააპატიმრეთ დამნაშავენი), საჭიროა არამზადების სასტიკად დასჯა და მთელი მოსახლეობის ინფორმირება. შესრულება გვიდეპეშეთ“.**

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მკაცრი რეაქცია მედიანისიდან გამოგზავნილ წერილზე, შემთხვევითი არ იყო. სამოქალაქო ომის წლებში „ეროტიკულ დეკრეტს“ ფართოდ იყენებდნენ თეთრგვარდიელები თავიანთ პროპაგანდაში, ამ „სამარცხვინო ინიციატივას“ ბოლშევიკებს მიაწერდნენ. ასეთი სახით დასეირნობს უვაროვისეული სიყალბე ინტერნეტში დღემდე.

1920 წელს მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ინგლისელმა ფანტასტმა მწერალმა ჰერბერტ უელსმა სცადა, თვით ლენინთან გაერკვია, მართლა რკპ(ბ)-ს ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა და ცხოვრებაში დანერგა „დეკრეტის“ დებულებები? ლენინმა შეძლო უელსის დარწმუნება, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარი წვლილი არ მიუძღვის სკანდალური დოკუმენტის შექმნაში. ინგლისში დაბრუნების შემდეგ უელსმა ამის შესახებ დაწერა თავის წიგნში „რუსეთი წყვდიადში“.

კოლმეურნეობების შემოღების შემდეგ ისტორია განმეორდა. „ცოლების განსაზოგადოებრიობის“ შესახებ ხმები გლეხებს სრულიად ლოგიკურად ეჩვენებოდათ. ამან ააღორძინა სკანდალური „დეკრეტის“ მიმქრალი ლანდი. შეძლებული გლეხები, რომლებსაც ბოლშევიკები იმ დროს გადასახადებით ახრჩობდნენ, ხმებს ავრცელებდნენ, კომუნისტები ერთი საბნის ქვეშ იძინებენ, ცოლები კი საერთო ჰყავთო. თუ ერთპიროვნულ გლეხებს მიწა წაართვეს, პირუტყვი საერთო ფერმებში გაუერთიანეს (სადღაც-სადღაც — ქათმებიც კი), რატომ არ მოექცეოდნენ ასე ძლიერი სქესის მთავარ „საკუთრებას“ — ცოლებსა და ქალიშვილებს?

ხომ იყო ასეთი შემთხვევები 1918-შიც და შემდეგაც! მარტო ხვატოვის „სიყვარულის სასახლე“ რად ღირს. 1920-იან წლებშიც კი მთავარი სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სპეცგანყოფილების უფროსმა გლებ ბოკიმ პოდმოსკოვიეში შექმნა „სააგარაკო კომუნა“, სადაც „სოციალიზაციამ“ მიაღწია ჯგუფური სექსის დონეს პარტნიორთა თავისუფალი ცვალებადობით. ორგიაში ბოკის სპეცგანყოფილების ბევრი თანამშრომელი და ნათესავი იყო ჩაბმული. მათ შორის, მისი ორივე ქალიშვილი. „სააგარაკო კომუნა“, როგორც სხვა „სექსუალური ექსპერიმენტი“, გამოძიებითა და სასამართლოთი დამთავრდა. ბოკისა და მისი თანამებრძოლების საქმეში 1937 წელს მთავარი ბრალდება, რა თქმა უნდა, შპიონაჟი და ანტისაბჭოთა შეთქმულება იყო, მაგრამ ჩამონათვალში მორალური გახრწნაც დასახელდა.


გლებ ბოკი

სხვათა შორის, ეს კაცი — სახუშიშროების III რანგის კომისარი, რსფსრ შინსახკომის კოლეგიის წევრი, სსრკ უზენაესი სასამართლოს წევრი — თბილისში იყო დაბადებული. ამბობენ, როცა ის პეტროგრადში მუშაობდა, ზოოპარკში მხეცებს დახვრეტილთა ხორცით კვებავდნენო.

მაგრამ დავუბრუნდეთ „სუსტი სქესის განსაზოგადოებრიობას“. 1930-იანი წლების ბოლოს ეს ეროტიკული ექსპერიმენტი დასრულდა. სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ ამ დარგში მთავარი გახდა ლოზუნგი — „ოჯახი — საზოგადოების უჯრედი“.

**ალეკო ასლანიშვილი**

სუმო



# ტოჩინოშინი ყველას უგებს

**ნაცუ ბაშოზე** ლევან გორგაძე საოცარ გამოსვლას აგრძელებს. ტოჩინოშინი წლის მესამე სუპერტურნირზე უდანაკარგოდ ასპარეზობს და გუშინ მან ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

ქართველი სუმოისტის მეტოქე პირველი მაეგაშირა ჰოკუტოფუჯი იყო, რომელსაც ჩვენებურმა შანსი არ დაუტოვა და მისი დამარცხება ადვილად მოახერხა. აღნიშნული წყვილი ერთმანეთს მეექვსედ შეხვდა და ისინი თანაბარ ბალანსზე გავიდნენ — 3 მოგება 3 მარცხის წილ.

მიმდინარე ბაშოზე იაპონელ მეტოქეს 1 მოგება და 4 მარცხი დაუგროვდა. რაც შეეხება ტოჩინოშინს, ლევანს ხუთიდან ხუთი (!) გამარჯვება აქვს და ნაცუ ბაშოს ერთ-ერთი ლიდერია!

ამრიგად, ქართველ გოლიათს ოძეკის ტიტულის დაბრუნებისთვის დარჩენილი 10 ორთაბრძოლიდან მინიმუმ ხუთის მოგება მართებს, თუმცა, იგი შესანიშნავ კონდიციებშია და მისგან გაცილებით მეტს ველით.

**კობა კობახიძე**

უკვდავების ბინადარი

# სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ



**2002 წლის 22 იანვარს დედაქალაქში ბომბივით გასკდა შოკისმომგვრელი ინფორმაცია — კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი (10 მატჩი), თბილისის „ვითას“ შემადგენლობაში ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი და ევროტურნირების შეხვედრების მონაწილე დუდუ დადიანი მოკლესო.**

სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა, ეს რეზონანსული მკვლელობაც დღემდე არ გამოუძიებიათ და გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე სადღაც მაღალ თაროზეა შემოდებული.

საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება სულით ლიდერი გახლდათ და გამოირჩეოდა როგორც პროფესიონალიზმით, ისე შინაგანი ინტელექტით. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა მოწოდების — მაშინ, როცა ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობდა, რამენაირად მოეხერხებინა ბიჭებისთვის საწვრთნელი შეკრებების მოწყობა და სპარინგების დაფინანსება.

ასევე დიდ ძალისხმევას მოითხოვდა მოყვასისათვის ხელის გაწოდება — დუდუ ხომ მარტო საკუთარი თავისთვის არ ცხოვრობდა და მეგობართა მთელ არმიას ეხმარებოდა.



შთამბეჭდავი გარეგნობის ახალგაზრდას ინსტიტუტში სწავლისას გოგონები უმღეროდნენ: „დადიანო, დადიანო, გული არ დამიდარდიანო“, ხოლო თამაშებს მისი ხათრით ესწრებოდნენ.

სიკეთესთან, ღირსებასთან, სილამაზესთან და კაიყმობასთან ნაზიარებ ვაჟკაცს 19 მაისს 50 წელი შეუსრულდებოდა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ეროვნული თასის გათამაშება ამიერიდან დუდუ დადიანის სახელობისა გახდება.

უფალს ებარებოდეს მისი ცად ამაღლებული სული.

**ბეჟან ჩხეიძე,**
**ზესტაფონიდან.**

# საფეხბურთო მოზაიკა



**„პარი სენ-ჟერმენის“ ურუგვაელი თავდამსხმელი ედინსონ კავანი ავტოგამტაცებელთა მსხვერპლი გახდა — წერს L'Equipe. გამოცემის ცნობით, მისთვის 200 ათას ევროდ ღირებული Range Rover Autobiography მოუპარავთ, მაგრამ პოლიციას უყოჩაღია, მანქანაც უპოვნია და გამტაცებელიც დაუჭერია.**

32 წლის კავანი პარიზულ კლუბში 2013 წელს გადავიდა „ნაპოლიდან.“ ტრანსფერის საფასური 64,5 მილიონი ევრო გახლდათ. მიმდინარე სეზონში მან საფრანგეთის ლიგა 1-ის 19 მატჩში 17 ბურთი გაიტანა და ოთხჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს. „პსჟ“-თან მისი კონტრაქტი 2020 წლის ზაფხულამდეა გათვლილი.



**ანტუან გრიზმანმა განაცხადა, რომ სეზონის დამთავრებისთანვე დატოვებს „ატლეტიკოს.“ „ბარსელონას“ მისადმი ინტერესიც არახალია. L'Equipe-ს ინფორმაციით, „ბარსელონაში“ გადაბარგების შემთხვევაში კატალონიური კლუბი მზადაა ფრანგ შემტევს წელიწადში ჯამაგირად 17 მილიონი ევრო გადაუხადოს.**

გამოცემის მტკიცებით, ტრანსფერის კვალად გრიზმანის ფასი 200 მილიონი უნდა ყოფილიყო. ასე უწერია ხელშეკრულებაში, მაგრამ 1 ივლისიდან ეს თანხა 120 მილიონამდე დაიწევს.

გრიზმანი „ატლეტიკოში“ 2014 წლიდან თამაშობს. მიმდინარე სეზონში მან ესპანეთის ჩემპიონატის 36 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 15 ბურთი გაიტანა და 9 საგოლე პასით გამოირჩა.



**სეზონის დამთავრებისთანავე „ჩელსი“ თავდამსხმელ გონსალო იგუაინს „იუვენტუსში“ დააბრუნებს — წერს Daily Mail. არგეტინელი ლონდონურ კლუბში წლევანდელი იანვრიდან თამაშობს იჯარით., სადაც 21 მატჩში მან 5 გოლი გაიტანა.**

კონტრაქტში იგუაინს უწერია, რომ შეუძლია მომავალ სეზონში გაახანგრძლივოს ხელშეკრულება ან „ჩელსიმ“ გამოისყიდოს, თუმცა, „არისტოკრატები“ არცერთს არ აპირებენ.

„იუვენტუსშიც“ არ არიან კმაყოფილები „პიპიტათი“ და ამიტომ მის სხვა კლუბში დასაქმებას ეცდებიან.

**„ლივერპულის“ ხელმძღვანელობა მადრიდის „რეალის“ გარემარბ ვინისიუსით დაინტერესდა — გვამცნობს Don Balon. გამოცემის ინფორმაციით, „სამეფო კლუბის“ მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი მომავალ სეზონში ბრაზილიელს ძირითადის მოთამაშედ არ მოიაზრებს, ვინისიუსს კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ უნდა, თუმცა, „რეალიდან“ წასვლაც არ სურს.**



კოპა ამერიკის დამთავრების შემდეგ ის ზიდანთან და კლუბის პრეზიდენტთან ფლორენტინო პერესთან დალაპარაკებას აპირებს.

„ლივერპულისთვის“ კი ვინისიუსი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდება. სამხრეთამერიკელით ასევე მიუნხენის „ბაიერნი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ ყოფილან დაინტერესებულნი.

მიმდინარე სეზონში 18 წლის შემტევმა „რეალის“ მაისურით 17 მატჩი ჩაატარა, 2 ბურთი გაიტანა და ერთი საგოლე პასი მიითვალა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# მშვიდობით, წარსულო!



**წარმოშობით არაბი, მუდამჟამს ბრიტანეთში მოღვაწე ყოფილი პორნომსახიობი მია ხალიფა რამდენიმე თვის წინათ ფეხბურთის დიდი მოყვარულის მანტიით შეიმოსა და ალბათ გახსოვთ, რომ საჯაროდ განაცხადა, პრემიერლიგის გუნდი „ვესტ ჰემი“ ჩემი ცხოვრების ნამდვილი სიყვარული და სადარდებელიაო.**

ამის შემდეგ ერთი პერიოდი იმასაც კი იძახდნენ, ლონდონელმა „ჩაქუჩებმა“ ეს ათასგვარი დარდით დათუთქული ქალი კლუბის დირექტორატში უნდა შეიყვანონ და არაფერი აჯობებს იმის ცქერას, ყოფილი პორნოვარსკვლავი გუნდის სვებედს როგორ განკარგავსო, თუმცა, მია ხალიფა ჯერ კვლავ მარკეტინგული ხრიკებითა და პორნო-ქარიშხლებით ნაშოვნი ფულით ირჩენს თავს.

ამას წინათ გავრცელდა ჭორი, რომ თითქოს მია ხალიფა თავის ძველ და ნაცად პროფესიას უბრუნდებაო, მაგრამ ეს ჭორი თავად ნაპორნოვარსკვლავებმა (თუმცა, იმასაც ამბობენ, ყოფილი პორნოვარსკვლავები და ყოფილი რუსეთუმეები არ არსებობენო) ქალბატონმა უარყო. თან ისიც დასძინა, რომ მან უკვე თავისი საბუღრაო გემრიელად იბუღრავა და ახლა დროა პორნო-ინდუსტრიის არცთუ ნათელი გზა ახალგაზრდებს დაუთმოს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

პური... გუშინ, დღეს, ხვალ

# ბიბლიიდან გადმოსული სტუმარი



**ყველას** კარგად მოეხსენება, რომ პური უძველესი საკვები პროდუქტია და მას მსოფლიო ცივილიზაციის 60 პროცენტზე მეტი მოიხმარს. მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის ოცი ჯიშიდან ხუთი ქართულია და სწორედ ჩვენი ტერიტორიიდან გავრცელდა სხვადასხვა არეალზე. ხორბალი, პური და პურპროდუქტები უძველესი დროიდან მატიანეებში მოიხსენიება. მაგალითისთვის ისიც საკმარისია, რომ ბიბლიაში პური თითქმის ასჯერაა მოხსენიებული.

უძველესი დროის ევროპას ხორბლითა და მარცვლეულით ეგვიპტე ამარაგებდა. ფარაონების სარკოფაგებსა და ეგვიპტურ ტაძრებზე მრავლადაა გამოსახული ხორბლის მოყვანა, პურის ცხობის ტექნოლოგია. პურის კულტს პატივს სცემდნენ უძველეს ქვეყნებში, მათ შორის შუამდინარეთსა და საქართველოში. მეპურის 13-მეტრიანი ვირგილიუს ევრისაკსის ქანდაკება რომის მოედანს ამშვენებდა.



პურის ცხობის ტექნოლოგია. ძველეგვიპტური ბარელიეფი

დიდ პატივში ჰყავდათ მეპურეები, ანუ ხაბაზები, სამაგიეროდ მცირე შეცდომისა და უყურადღებობის გამო მკაცრადაც სჯიდნენ. შუა საუკუნეების ევროპის დიდ ქალაქებში იყო და დღესაც შემორჩენილია მეპურეთა უბნები, მოედნები, ქუჩები, უძველესი ტრადიციული პურის საამქროები. მაგალითისთვის, ძველი თბილისის „პურის მოედანი" და ჯვარის მამის ეკლესიის მიმდებარედ მდებარე სახელგანთქმული ქართული თონე. აქ გამომცხვარი პური მთელ ქალაქში ცნობილი იყო „ჯვარის მამის ლავაშის" სახელით. ივანე ჯავახიშვილს აღწერილი აქვს ქართული ხორბლის უძველესი ჯიშები. ქართული ხორბალი და მისგან გამომცხვარი პური, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში ხაბაზს მოზელილი ცომი აუმჟავდა, გაუფუვდა, მან სასწრაფოდ, იმის შიშით არ დამსაჯონო, მისგან პური გამოაცხო და აქედან საფუძველი დაედო საფუარით პურის ცხობას, რამაც მეტი ხარისხი, გემოვნება და სასარგებლო თვისებები შესძინა მას. ხორბლის დაფქვა, დამუშავება და პურის ცხობის ტექნოლოგია საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა. ადრეულ წლებში პრიორიტეტულად მიაჩნდათ თეთრი პური. ჭვავმა, რომელიც მეცნიერთა მტკიცებით კავკასიური ენდემური კულტურაა, მოგვიანებით მიიქცია მეპურეთა ყურადღება და ამჟამად თავისი სასარგებლო თვისებებით თეთრ პურს კიდეც აჭარბებს. ჭვავის პური მეტად პოპულარული გახდა რუსეთის ტერიტორიაზე, გრაფი შერემეტიევი, გულდაწყვეტით აღნიშნავდა — მთელი ევროპა მოვიარე და ჭვავის პური ვერსად დავაგემოვნეო.

ადამიანის იმუნური სისტემა ამგვარ პურს მიეჩვია, რომელშიც პროცენტულად მეტია ნახშირწყლები. XX საუკუნეში გავრცელდა ე.წ. „ცელიაკის დაავადება", რომელიც გამოწვეული იყო გლუტეინის, იგივე წებოგვარას სიჭარბით. ორგანიზმისთვის ეს მიუღებელი გახდა და სწორედ ზემოხსენებული დაავადება გამოიწვია. ამ საკითხის შესწავლას ამერიკელმა მკვლევარებმა მეცნიერული შრომები მიუძღვნეს. ევროპაში გაჩნდა მაღაზიები, სადაც ე.წ. უგლუტეინო პური იყიდებოდა. ამ მხრივ, კვლევებს საქართველოც არ ჩამორჩა და ქუთაისელი მკვლევარების, პროფესორების **მანანა სილაგაძის** და **ელზა ფრუიძის** ნაშრომებმა საკითხის გადაჭრაში მეტი სიცხადე შეიტანეს. მათ შესანიშნავ ნაშრომებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ამერიკელი მეცნიერის **დემბერგისა** და ფრანგი **ვოლფის** შრომები, რომელიც ინტერნეტ სივრცეში ხშირად ქვეყნდება და მიზნად ისახავს უსაფუარო პურის რეკლამას, დილეტანტები შეცდომაში შეჰყავს. მათი მოსაზრებების (ბატონი ვოლფი ნობელიანტიც გახლავთ) გაბათილებასა და უსაფუძვლობაში ბევრმა მეცნიერმა, მათ შორის, ჩვენმა თანამემამულეებმაც წვლილი შეიტანეს. გავრცელებული რეკლამები (მე მათ ანტირეკლამებსა და „ბოროტ რეკლამებს" ვუწოდებ) — „უსაფუარო პური", „შაქარი ნული", „ჩვენ პურს არ ვღებავთ" და მისთანები, უვიცი, საქმეში ჩაუხედავი მარკეტოლოგების პიარკამპანიაა. ნებისმიერმა პურის მწარმოებელმა იცის, რომ უსაფუაროდ, რძემჟავაბაქტერიული პროცესის გარეშე, არც ღვინო, არც ლუდი, არც რძის პროდუქტები და არც პური არ მზადდება და უხარისხო და ზოგ შემთხვევაში, ჯანმრთელობისთვის სახიფათოც კი გამოდის.

პურის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხორბლის ჯიშს, მისგან წარმოებული ფქვილის ფასსა და ხარისხს. ცნობილია, რომ ტომრებში დაფასოებული ფქვილის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12,5%. ეს არის საუკეთესო ვარიანტი. ამჟამად საქართველოში წარმოებული ფქვილისა და იმპორტული ნედლეულის ტენიანობა 14,5% (მართალია, ეს ზღვრული და მისაღები ნორმაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 15%-ს მაღლა მშრალი ნივთიერება სინესტესთან ერთად რეაქციაში შედის და ეს ყოვლად დაუშვებელია). სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმპორტული ხორბლის ხარისხს, მის ტრანსპორტირებას, წარმოების არეალს.

აღსანიშნავია, რომ ხორბლის ჯიში „ტრიტიკალე", რომელიც მე-19 საუკუნეში ინგლისში გამოიყვანეს და ძირითადად საქონლის საკვებად იყენებოდა, მეტად სასარგებლო და მისაღები აღმოჩნდა პურის წარმოებაშიც. ამ თემაზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეტად საინტერესო დისერტაცია დაიცვა ბატონმა ეპიტაშვილმა და უცხოელ მეცნიერებს დაუმტკიცა „ტრიტიკალეს" უპირატესობა. დღეს საქართველოში კარგი ტენდენციებია ხორბლის ჯიშების მოშენებისა და გამრავლების საკითხებში, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები ჩვენს ქვეყანაში ხარისხიანი ხორბლისა და მისგან წარმოებული ფქვილის მისაღებად. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ჩვენ დამოკიდებული ვართ იმპორტულ ხორბალზე, სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხის განხორციელებას ხელშეწყობა სჭირდება, რადგან პურპროდუქტები ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება ნომერ პირველ მოხმარებად პროდუქტად. ყოველივე ეს კი სასიკეთოდ იმოქმედებს პურპროდუქტების არა მარტო ხარისხზე, არამედ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზეც.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე**

**Ц.S.** **ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჩამონათვალი, რომელიც გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიდან" არის მოყვანილი და ასახავს 500-გრამიანი თეთრი პურის ღირებულებას (გადაყვანილია ლარებში) სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში:**

**1. ტაშკენტი — 0.60 ლარი; 2. ბაქო — 0,75 ლარი; 3. ერევანი — 0,80 ლარი; 4. თბილისი — 0,85 ლარი; 5. მინსკი — 1,30 ლარი; 6. მოსკოვი — 1,50 ლარი; 7. ვარშავა — 1,92 ლარი; 8. ლონდონი — 3,08 ლარი; 9. ბერლინი — 3,64 ლარი; 10. პარიზი — 4,64 ლარი; 11. ვენა — 5,00 ლარი; 12. ტოკიო — 5,20 ლარი; 13. პეკინი — 4,44 ლარი; 14. ნიუ-იორკი — 8,42 ლარი;**

# 9 წლის გოგონას სასტიკმა მკვლელმა ბავშვის მიმართ სექსუალური ქმედება მობილურით გადაიღო

**გორში მოკლული 9 წლის მოზარდის საქმის პროკურორის ნანა გუგუტიშვილის განცხადებით, ექსპერტიზით მოკლული გოგონას მიმართ ბრალდებულის მხრიდან სექსუალური ხასიათის ქმედება დასტურდება. ინფორმაციას ამის შესახებ „ლიბერალი" ავრცელებს.**

პროკურორის თქმით, ბრალდებულმა იაგო ნებიერიძემ ტელეფონიდან დაკავებამდე წაშალა ჩანაწერი, რომელიც არასრულწლოვანთან სექსუალური ხასიათის ქმედებას ადასტურებს. პროკურორის თქმით, ჩანაწერი აღდგენილია.

**„სასამართლომ გამოიკვლია არამხოლოდ ვიდეომასალა, არამედ ფოტომასალაც, ექსპერტიზის დასკვნები, ნივთიერი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება აღნიშნულ ბრალში იაგო ნებიერიძის დამნაშავეობა. ეს მასალა ექსპერტიზის შედეგად, იაგო ნებიერიძის მობილური ტელეფონიდან არის აღდგენილი. ჩანაწერში დაფიქსირებულია გარდაცვლილი ნანიკო ბერიაშვილი, ქმედება, რომელსაც იაგო ნებიერიძე მასთან მიმართებაში ახორციელებს და საუბარი. ეს არის იაგო ნებიერიძის მიერ გადაღებული ჩანაწერი. ის ამის გადაღებას მობილური ტელეფონიდან ახდენდა, მაგრამ დაკავებამდე წაშალა. აღნიშნული ჩანაწერი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ექსპერტიზის ფარგლებში აღდგა, გადაღების საათის და რიცხვის მიხედვით. ექსპერტიზის მიხედვით, ხმა, რომელიც ვიდეოში ისმის, ნამდვილად იაგო ნებიერიძისაა".** — განაცხადა პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა.



გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 2018 წლის 25 ოქტომბერს სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. ბრალდებულ იაგო ნებიერიძეს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა და არასრულწლოვანთან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს.

## ხსოვნა

„კრწანისის პურის" დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთავარი ეკონომისტი, პურის მრეწველობის ამაგდარი პროფესიონალი, შესანიშნავი ადამიანური თვისებებით შემკული ქალბატონი

**გულიკო ნიკოლოზის ასული არწივიძე-გოგოლაძისა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# 33 წლის სამხედრო მოსამსახურე გარდაცვლილი იპოვეს!

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 33 წლის სამხედრო მოსამსახურე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.



**„მიმდინარე წლის 15 მაისს არასამსახურებრივ ვითარებაში საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე პაატა ჩხაიძე (11.09.1985). შემთხვევის ადგილზე, საცხოვრებელ სახლში ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარაღი (სანადირო თოფი). გამოძიება დაწყებულია 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს"** — აღნიშნულია თავდაცვის სამინისტოს განცხადებაში.

# მიძღვნა
# „დაუკრეფავი ვაზი“

**ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის თემურ ქევხიშვილის ფასდაუდებელი ნიჭისა და ღვაწლის ქომაგმა ირინა გოგოსაშვილმა ჩემს ყოფილ პედაგოგთან ზურაბ ფირცხალავასთან დიდი ტკივილით ახსენა თემურის სულიდან წამოსული ულამაზესი ფრაზა: — „დაუკრეფავი ვაზი ვარ“.**



**ზურაბ ფირცხალავამ ისეთი ემოციური დატვირთვით მომაწოდა ეს სიტყვები, რომ სული ამიფორიაქდა, თითქოს სხეულიდან ამოსვლას ლამობდა (ასეთი რამ ხშირად მემართება, მე ხომ „უცნობი“ პოეტი ვარ, უფრო სწორად, სურთ რომ „უცნობი“ ვიყო). ამ ფრაზაში დავინახე მომავლის რწმენა, რომელიც შემოქმედ ადამიანს ცხოვრებას ულამაზებს და მომავლის იმედს უნერგავს. ვენახი დაიკრიფება, მაგრამ „დაუკრეფავი ვაზის“ მიწვდომა და მისი დაწურვა ერთეულების ხვედრია.**

**ბატონო თემურ, მადლობა, რომ ფანტასტიკური ფრაზით მომაწოდეთ იდეა, კიდევ ერთი ლექსი დამეწერა და მომეძღვნა თქვენთვის, მოვა დრო და ამ სიტყვებს ავამღერებ... მე ხომ პროფესიით მუსიკოსი ვარ.**

**„დაუკრეფავი ვაზი“ ხარ,**
**აკვნესებული ქნარი ხარ,**
**ალალ-მართალი გული ხარ,**
**ორ საუკუნის სული ხარ.**
**სიმღერა შენი სუნთქვაა,**
**ფიქრის ქარს გამოყოლილი,**
**ვაზდაბურული ქვეყნიდან**
**დღემდე სიკეთით განვლილი.**
**ვაზის ცრემლების სამშობლოს,**
**რომ არ უმღერო ძნელია,**
**შენებრი გრძნობით „ურმული“**
**ჯერ არვის არ უმღერია.**
**დღეგრძელი იყავ მარადის,**
**არ მოგკლებოდეს მადლი ღვთის,**
**გფარავდეს კალთა უფლისა,**
**ვით ლოცვა დედის გულისა...**



პატივისცემით
**მზია გელაშვილი**

# ძაღლს პირვანდელი სახე დაუბრუნეს

**ვეტექიმებმა ბრიტანეთის საგრაფო დერბიშირში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაშავებული 9 თვის გერმანული შეპარდის სიცოცხლის გადარჩენა და სახის სრული რეკონსტრუქცია შეძლეს.**

ვეტერინარი, რომელმაც აღდგენითი ოპერაცია ჩაატარა, იხსენებს ლეკვი ბელას დაშავებულ სახეს:

**„სახე იმდენად იყო დაზიანებული, რომ ნამსხვრევები პაზლს ჰგავდა, ურთულესი ოპერაცია იყო, მაგრამ წარმატებით ჩაიარა“**

ლეკვი ბელას კბილები და ცხვირის ძვალი სრულად დამსხვრეული იყო. მისი ყბის ძვალი სპეციალური დამჭერებით გამაგრდა. ქირურგმა ვეტერინარმა ძაღლის სახე გამწოვი ძაფით გაკერა და სახის სტრუქტურა მთლიანად აღადგინა.

ოპერაცია ვეტერინარმა როსარიო ვეილფუკომ ჩაატარა. მისი განცხადებით, ძაღლი თავს ძალიან კარგად გრძნობს და წარმატებით გადის რეაბილიტაციის პროცესს.



## სასწრაფოდ მისახედი



# არამზადები!
## ლატვიელ ტურისტს თბილისელმა ტაქსისტმა აეროპორტიდან სასტუმრომდე 250 ლარი მოსთხოვა

**საოპერო მომღერალი სოციალურ ქსელში იმ ამბის შესახებ წერს, რომელიც მის ნაცნობ უცხოელს თბილისში შეემთხვა:**

„გუშინ საქართველოს სტუმარმა ლატვიელმა გოგომ მითხრა, აეროპორტიდან სასტუმრომდე ტაქსმა 250 ლარი(!!!) მომთხოვაო. საბედნიეროდ, უკვე გარკვეული ვიყავი მეგობრებისგან ფასებში და 40 ლარი მივეციო. ამაზე იმ არამზადა მძღოლს მისთვის ჩხუბი აუტეხია... ეს ფული სახლამდე არ მეყოფაო. ამ გამჭრიახ გოგოს მიუგია... შედით ინტერნეტში და ნახეთ, „იანდექს ტაქსი“ საერთოდ 20 ლარს იღებს, როგორ არ გრცხვენიათო. ამ გოგომ მითხრა, 250 კი არა, ჩემს მეგობრებს 385 ლარს სძალავდნენო. ამდენი მსოფლიოში არ ღირს ტაქსი და თქვენი მძღოლები რამ გადარიათო. ბოლო-ბოლო, მთავრობამ იქნებ, აუკრძალოს ამ თაღლითებს ეს „ბიზნესი“.ქვეყანაზე წარმოდგენა აეროპორტიდან იწყება და ეს არამზადები ასე ლახავენ მის იმიჯს. ეს ხალხი მერე სოც. ქსელებში წერს მათი გაბითურების შემთხვევებს და მერე ნელ-ნელა აღმოვაჩენთ, რომ ტურიზმის პროცენტული მაჩვენებელი... მიუხედავად ჩვენი ხინკალ-ჩურჩხელებისა... მზეზე დადებული ნაყინივით ჩამოგვიდნება.

ადრე თავადაც შევესწარი და ვეჩხუბე, თუ როგორ სძალავდა ბათუმში პლაჟის ზედამხედველი 5-ლარიან შეზლონგში ტურისტს 20 ლარს. სირცხვილია, მეგობრებო, თავს გვჭრიან ასეთები. ყველა ამ გოგოსავით საზრიანი ხომ ვერ იქნება? ეგ კი არა, ერთ ტურისტს 250$ მიუცია მძღოლისთვის, შავ ზღვაზე ჩამიყვანეთო და იმას... თბილისის ზღვაზე აუყვანია. მადლობა ღმერთს, მიხვდა ის კაცი, რომ 30 წუთში ვერ იქნებოდა შავ ზღვაზე.

არამზადები! იმედია, ტაქსების ამ ახალი რეგულაციებით უფრო გაიწმინდება სიტუაცია!“

# წინასაარჩევნო რეკლამა პორნოსაიტზე

**დანიელმა პოლიტიკოსმა იოაკიმ ბი ოლსენმა წინასაარჩევნო რეკლამა მსოფლიოს ყველაზე მსხვილ პორნოსაიტზე, Pornhub-ზე განათავსა.**

**„დიახ, ეს მე ვარ Pornhub-ზე. რეკლამა უნდა იყოს იქ, სადაც ამომრჩეველია. ვფიქრობ, ადამიანები ბევრს იხალისებენ. ეს ასეა, საოცრად კარგი შედეგი გვაქვს. ისინი, ვინც მე მიცნობენ, იციან, რომ სერიოზული პოლიტიკოსი ვარ, თუმცა მეც მაქვს იუმორის გრძნობა“,** — განაცხადა დანიელმა პოლიტიკოსმა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა სიმძიმის ტყორცნაში იოაკიმ ბი ოლსენმა.



იოაკიმ ბი ოლსენი დანიაში, საპარლამენტო არჩევნებში იღებს მონაწილეობას. 41 წლის პოლიტიკოსი 2011 წლის შემდგომ მემარჯვენე ცენტრალისტი ლიბერალური ალიანსის წევრია.


# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**
**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86



მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
**გურამ გოგიაშვილი**
599 53-76-16;
**ალეკო ასლანიშვილი**
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
**მამუკა ვაშაკიძე**
514 33-33-24



**გამომცემლები:**
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
**„კოლორ პრესში“**
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7425; ევრო - 3.0711;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5406;
100 რუბლი - 4.2348; თურქული ლირა - 0.4523;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6135;
1000 სომხური დრამი - 5.7076.

**ამინდი 17 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე | +34 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე | +30 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge